# საერთო გაზეთი

№45 (456) • 13 დეკემბერი, 2017წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი


# ციხისთვის უვარგისი კაცი

პოროშენკომ საბედისწერო შეცდომა დაუშვა — ეგონა, სააკაშვილის სახით ოპოზიციონერ პოლიტიკოსს იჭერდა და ხელთ ფსიქიკურად ავადმყოფი, ფაქტობრივად, შეშლილობის ზღვარზე მყოფი ადამიანი შერჩა!

შეცდომამ სააკაშვილის პირველი დაკავებისთანავე იჩინა თავი, როცა ის საბადრაგო მიკროავტობუსში იმდენად ცუდად გახდა, რომ ბადრაგი პანიკაში ჩავარდა.

პოროშენკოსთან ხანმოკლე დათათბირების შემდეგ ლუცენკომ განკარგულება გასცა, პატიმარი გაეთავისუფლებინათ.

ასე რომ, სააკაშვილი მის მხარდამჭერებს კი არ გაუთავისუფლებიათ — ბადრაგმა გაუშვა.

სააკაშვილი როცა მეორედ დააკავეს და იზოლატორში მოათავსეს, მას ავადმყოფობის იგივე ნიშნები გაუმეორდა, რაც საბადრაგო ავტომანქანაში დაემართა.

ოთხჯერ გახდა საჭირო სასწრაფოს გამოძახება, თუმცა პაციენტის დაშოშმინება მანამდე ვერ მოხერხდა, სანამ ძლიერმოქმედი დამამშვიდებელი საშუალებები არ მისცეს.

ექიმების დასკვნით, სააკაშვილის ადგილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია და არა ციხეში.

**სააკაშვილი ციხისთვის უვარგისი კაცია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის, ზოგადად, უვარგისი კაცია.**

ექიმებისვე დასკვნით, სააკაშვილის ფსიქიკაზე გამანადგურებლად მოქმედებს ჩაკეტილ სივრცეში მოთავსება. ამ დროს ის აბსოლუტურად კარგავს კონტროლს საკუთარ თავზე და პანიკური შიშით შეპყრობილი იმ ნადირს ემსგავსება, რომელიც გალიაში ჩაკეტეს.

პოროშენკოს, ალბათ, ჭორად კი ჰქონდა გაგონილი, რომ სააკაშვილი ალაგ-ალაგ ცოტას ურიკინებდა მაგრამ, როგორც ჩანს, მას ვერ წარმოედგინა, რომ კაცი, რომელსაც ცხრა წლის განმავლობაში ერთ-ერთი ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი ეკავა, ასე დანგრეული ექნებოდა ფსიქიკა.



**ნაცებო და ნაცების მხარდამჭერებო, სულ ტყუილად გიხარიათ, რაც გიხარიათ და ბედნიერებისგან ფრთაშესხმული სულ ტყუილად უვლით დავლურს. ერთადერთი, რაც მართლა უნდა გიხაროდეთ ისაა, რომ თქვენი გაბანძებული ბელადისთვის „პერედაჩების“ ზიდვა უკრაინაში არ მოგიწევთ და აქვე, „მატროსოვის“ ციხეში, მიუცუნცულებთ ხოლმე. აი, ეს გაგრძელება და ფინალი აქვს მოსამართლე სოკოლის განაჩენს. თქვენ კი ვერაფერს მიმხვდარხართ და გიხარიათ... გიხარიათ და გიხაროდეთ, აი, დარდი...**

**როგორც ამბობენ, პოროშენკო შოკში ჩავარდა, როცა ფირზე დაფიქსირებული ის კადრები აჩვენეს, სადაც სააკაშვილის იზოლატორში ყოფნის მომენტებია აღბეჭდილი.**

ეს ფირი, რა თქმა უნდა, საიმედოდ არის შენახული და საჭიროების შემთხვევაში, მას აუცილებლად ანახებენ იმ საერთაშორისო დემოკრატიულ თანამეგობრობას, რომელსაც სააკაშვილის მისამართით ჯერ კიდევ რაღაც ილუზიები და ცრუ წარმოდგენები გააჩნია.

**ვფიქრობთ, სააკაშვილი, როგორც პოლიტიკოსი, უკრაინის უშიშროების სამსახურის იზოლატორში დამთავრდა, ისე, როგორც დამთავრდა მისი გმირად წარმოჩენის ტრაგიკომიკური მცდელობები.**

სააკაშვილის უშიშრობა და შეუპოვრობა მისი გმირული ხასიათით კი არ არის განპირობებული, არამედ ეს არის პარანოიკული ენერგიის მოზღვავების გამოხატულება, რომელიც მერე პათოლოგიური შიშით და დეპრესიით იცვლება.

ის, რაც არ იცოდა პოროშენკომ, ცხადია, შესანიშნავად იციან სააკაშვილის ახლობელმა ადამიანებმა. მათ ისიც დაზუსტებით იცოდნენ, რას მოიმოქმედებდა და რა დაემართებოდა დაპატიმრებულ სააკაშვილს.

მათ იცოდნენ, რომ ამ დაპატიმრებით ფარდა აეხდებოდა დიდ საიდუმლოს — გმირად და დემოკრატიის შუქურად აღიარებული სააკაშვილი ფსიქიკურად შერყეული ერთი ავადმყოფი კაცია, რომელსაც ახალ-ახალი „გმირობებისკენ“ წაქეზება კი არა, შველა და დახმარება სჭირდება.

სააკაშვილის პარანოიდული შეტევების შედეგები საკუთარ ზურგზე აქვთ ნაწვნევი მის ძალოვანი უწყებების მინისტრებს, რომლებსაც უძილობით გატანჯული, ჰალუცინაციებით დამფრთხალი სააკაშვილი შუაღამისას წამოყრიდა ხოლმე საწოლებიდან, რომ მათ გარემოცვაში უფრო უსაფრთხოდ და დაცულად ეგრძნო თავი.

**თავადაც ავანტიურისტი და ყველაფერზე წამსვლელი სააკაშვილის ზურგს უკან მასზე დიდი ავანტიურისტების და საერთაშორისო მასშტაბის „რაზბოინიკების“ აჩრდილები ილანდება**, რომლებიც, ადრე თუ გვიან, სააკაშვილს აუცილებლად შეიწირავენ.

იცის ეს სააკაშვილმაც, მაგრამ არც მას და არც მის გულწრფელ გულშემატკივრებს არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ — სააკაშვილი ის ყუმბარაა, რომელიც ზარბაზნის ლულიდან უკვე გამოისროლეს და სამიზნისკენ მიმართეს...

**მინაწერი**: პეჩორის რაიონის მოსამართლემ ციხისთვის „დაბრაკული“ სააკაშვილი სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლა, რასაც „ნაცებისა“ და მათი მხარდამჭერების აჟიოტაჟი და ღრიანცელი მოჰყვა.

„ნაცებო“ და „ნაცების“ მხარდამჭერებო, სულ ტყუილად გიხარიათ, რაც გიხარიათ და ბედნიერებისგან ფრთაშესხმული სულ ტყუილად უვლით დავლურს.

ერთადერთი, რაც მართლა უნდა გიხაროდეთ ისაა, რომ თქვენი გაბანძებული ბელადისთვის „პერედაჩების“ ზიდვა უკრაინაში არ მოგიწევთ და აქვე, „მატროსოვის“ ციხეში, მიუცუნცულებთ ხოლმე.

აი, ეს გაგრძელება და ფინალი აქვს მოსამართლე სოკოლის განაჩენს.

თქვენ კი ვერაფერს მიმხვდარხართ და გიხარიათ...

გიხარიათ და გიხაროდეთ, აი, დარდი...








„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემთხვევაში სააკაშვილი უკრაინას დაშლის

***გვესაუბრება ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის თავმჯდომარე, ადვოკატი გრიგოლ გაგნიძე***

**— ბატონო გრიგოლ, რა შეფასება შეიძლება მივცეთ სააკაშვილის მოქმედებას უკრაინაში, რასაც ახლა ვხედავთ?**

— დღეს სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლების პოლიტიკური მტერია, მან საჯაროდ განაცხადა, რომ სურს უკრაინის პრემიერ-მინისტრის თანამდებობა. თავისთავად, ყველა ხელისუფლებას ჰყავს და ეყოლება ოპოზიცია. სააკაშვილის მიზანია დააჩქაროს უკრაინის ხელისუფლების ცვლილება. იგი არ ელოდება საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს და ითხოვს პრეზიდენტის გადადგომას.



დავიწყოთ იმით, რომ სააკაშვილის მიერ პოლონეთიდან უკრაინის საზღვრის გადაკვეთა მოხდა უკანონოდ. უკრაინელმა კოლეგებმა მაჩუქეს იქაური სისხლის სამართლის კოდექსი. კანონი საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის ითვალისწინებს სასჯელს სამიდან ხუთ წლამდე. როგორც ვნახეთ, უკრაინის ხელისუფლებამ სააკაშვილი მხოლოდ დააჯარიმა. საჯაროდ განაცხადეს, რომ ვაჯარიმებთო, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, შეიძლება, რეალურად, არც დაუჯარიმებიათ. პირებს, რომლებიც მას საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დაეხმარენ, იგივე მისი მომხრეების მიმართ, როგორც იქაური ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, სხვადასხვა სანქციები განხორციელდაო. გამოდის, რომ უკრაინის ხელისუფლებამ სააკაშვილი დაინდო. ვფიქრობ, რომ ეს ან თამაშია, რათა სააკაშვილი გმირად აქციონ, ან უკრაინელი ძალოვანი სტრუქტურების სისუსტეა, რასაც დრო გვიჩვენებს. გასულ კვირას ვნახეთ, რომ სააკაშვილს აკავებენ, იქაური კანონით ეჭვმიტანილის სტატუსით, მიკროავტობუსში სვამენ და ბრალის წარსადგენად უნდა წაეყვანათ, იქ შეკრებილმა ხალხმა მანქანა ალყაში მოაქცია და არ გაატარა. ამის გარდა, სააკაშვილს მისცეს საშუალება, რომ სახურავიდან, სადაც იყო ასული, თავისი მომხრეებისთვის მოეწოდებინა: დამეხმარეთ, ამ უკანონობას წინ აღუდექითო, რათა ძალოვნებას იგი არ წაეყვანათ. შემდგომ ვნახეთ, რომ ხალხის რაოდენობამ მოიმატა, მიკროავტობუსი დააზიანეს, საბურავები დაუშვეს, სააკაშვილი გამოჰყავთ თუ თვითონ გადმოდის მანქანიდან, სადაც ბადრაგთან ერთად იმყოფებოდა და პარლამენტის წინ დაიწყო აქცია მხარდამჭერებთან ერთად. ამასთან, კარვებიც გაშალეს, მთავარმა პროკურატურამ სხვადასხვა მუხლებით აღძრა სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის, სახელმწიფო ღალატის მუხლითაც, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში მძიმე დანაშაულია. ვერ გეტყვით, სახელმწიფო ღალატში უკრაინელები რას გულისხმობენ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, როდესაც ქვეყანა საომარ ვითარებაშია რუსეთთან, ამ დროს სააკაშვილი „მაიდნის" პროვოცირებას ახდენს რადას წინ, კარვებს შლის და ხელისუფლების გადადგომას ითხოვს. სავარაუდოდ, უკრაინელებმა ეს ჩაუთვალეს დანაშაულად. უკრაინის პროკურატურის განცხადებით, სააკაშვილზე ძებნა გამოცხადდა. თუმცა ნახეთ, როგორ კურიოზულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე: ჯერ ერთი, სააკაშვილის მიერ საზღვრის გადაკვეთის შემდეგ არ დადგა მისი სამართლებრივი პასუხისმგებლობა, შემდეგ მანქანიდან გაუშვეს თუ გაექცათ უკვე დაკავებული სააკაშვილი. გამოდის, რომ უკრაინული ძალოვანი სტრუქტურა ან სუსტია, ან არ ემორჩილება თავის ხელისუფლებას, ან არაპროფესიონალები არიან, ან გათამაშებული სცენაა. იმ შემთხვევაში, თუ გათამაშებულია, ეს მიგვანიშნებს, რომ სააკაშვილის გმირად წარმოჩენა ხდება. „მოუხელთებელი ჯოს" იმიჯს უქმნიან.

უკრაინისთვის, რომელიც რუსეთთან საომარ მდგომარეობაშია, სააკაშვილის ქმედება, ფაქტობრივად, ზურგში დანის ჩარტყმა. სახელმწიფოს დასუსტებაა, საერთაშორისო დონეზე ქვეყნისთვის იმიჯის შელახვაა. ჩვენ მოვისმინეთ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროკავშირის და სხვა ორგანიზაციების განცხადებები, რომ უკრაინამ არ უნდა დაარღვიოს ადამიანის უფლებები. ყოველივე ეს, ვიმეორებ, ქვეყნის იმიჯის შელახვაა. აქვე მინდა ხაზგასმით ვთქვა, უკრაინის ხელისუფლება, სავარაუდოდ, ხედავს საშიშროებას, რომ სააკაშვილის სათავეში მოსვლა, რაც გამოიწვევს უკრაინის დაშლა-დანაწევრებას უფრო მეტად, ვიდრე ახლა, კარგი იქნებოდა, გაეთვალისწინებინათ საქართველოს მაგალითი. თუნდაც ის, რომ შევარდნაძის დროს დაწყებული კონფლიქტები სამაჩაბლოსა და აფხაზეთში სააკაშვილმა გააგრძელა და 2008 წელს მისი ავანტიურული მოქმედების შედეგად დავკარგეთ ჩვენი ძირძველი ტერიტორიები. ბაზების ჩაყენებით და სადემარკაციო ხაზის გავლებით, რუსეთმა, ფაქტობრივად, ჯერჯერობით, დაიკანონა ჩვენი ტერიტორიები. ამ შეცდომებს თუ დანაშაულებებს თუ გაითვალისწინებენ უკრაინელები, კარგი იქნება, თუ არა, სათავეში მოსვლის შემთხვევაში, სააკაშვილი დაშლის უკრაინას.

„ნაცმოძრაობას" დღეს აქვს ლოზუნგი, პირდაპირ ვთქვათ, ლენინური — ოლიგარქებს ვებრძვითო, გაიძახიან. დღეს მსოფლიო პოლიტიკას ბიზნესმენები, მაგათი ენით, ოლიგარქები აკონტროლებენ. მაშინ მოდით, ჯერ დონალდ ტრამპი გადავაყენოთ და სხვისი გადადგომა მერე მოვითხოვოთ. სააკაშვილს არ მოსწონს უკრაინის პრეზიდენტი — ოლიგარქიაო, გაჰყვირის. უკრაინის დღევანდელ ხელისუფლებას ჰყავს მოწინააღმდეგე ოლიგარქები და მათი წაქეზებით და დაფინანსებით იბრძვის სააკაშვილი უკრაინის დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩემი აზრით, სწორედ ის ოლიგარქები გამოიყენებენ სააკაშვილს და შემდეგ გასწევენ გვერდზე. რა ფორმით, ძნელი სათქმელია.



**— სააკაშვილს უკრაინის პრემიერ-მინისტრობა უნდა, მაგრამ როგორ შეიძლება პირმა, რომელსაც არც ერთი ქვეყნის მოქალაქეობა არ აქვს, დაიკავოს ასეთი მაღალი თანამდებობა?**

— ვფიქრობ, რომ იგი ცდილობს, უკრაინის ხელისუფლებაზე მოახდინოს ზეწოლა თავისი მოქმედებით. სავარაუდოდ, პოლიტიკური ზეწოლით მას შეუძლია გარკვეული გავლენა მოახდინოს ხელისუფლებაზე და აღიდგინოს მოქალაქეობა. ვფიქრობ, მას უნდა უკრაინის ხელისუფლება გამოიწვიოს პროვოკაციებზე, დააღვრევინოს სისხლი, რათა შემდეგ უფრო დიდი ლეგიტიმაცია ჰქონდეს, მოითხოვოს ხელისუფლების გადადგომა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ მას სხვისი სისხლის დაღვრა არაფრად ულირს, იგი ხელისუფლებაში მოსასვლელად ყოველთვის სხვის ხარჯზე იბრძოდა.

**— როგორ განვითარდება მოვლენები? რა მოხდება სამართლებრივად?**

— როდესაც რომელიმე ქვეყანა ითხოვს პირის ექსტრადაციას, პრიორიტეტი იმ ქვეყნის მოქალაქეს ენიჭება. თუ მას არ აქვს ქვეყნის მოქალაქეობა, ამ შემთხვევაში, ექსტრადირების პროცედურა რთულდება. სააკაშვილის თემა გასცდა სამართლებრივ ჩარჩოებს და პოლიტიკურ ჭრილში გადავიდა, რადგან პოლიტიკოსად ითვლება და საქართველოს მოქალაქეობა არ აქვს. ასე რომ, თუ გაასამართლებენ და მიუსჯიან, მხოლოდ სასჯელის მოხდის შემდეგ შეიძლება კვლავ გაიმართოს მოლაპარაკება მის გადმოსაცემად. ყოველივე უკრაინის ხელისუფლების ნება-სურვილზე იქნება დამოკიდებული.

**— რამდენად გამართლებული იყო სააკაშვილის პოლიტიკურ თანამდებობაზე დანიშვნა იმ დროს, როდესაც უკვე ძებნილი იყო? ეს ხომ არ მიგაჩნიათ ორმაგ თამაშად უკრაინის მხრიდან?**

— ვიდრე უკრაინაში ჩავიდოდა, იგი ამერიკაში იმყოფებოდა. სავარაუდოდ, იქიდან მიიღო თანხმობა. ფაქტობრივად, ამერიკელებისგან იგი პროტექციას ითხოვდა, ამასთან, გამოიყენა იქაურ პოლიტიკოსებთან ნაცნობობაც. მისი განცხადებები, საქართველოში ჩამოვალო, არარეალურია. სააკაშვილის აქ ჩამოსვლა მისი თანაგუნდელების გარდა არავის უნდა. „ნაცმოძრაობას" კი მისი ჩამოსვლა საქართველოში არეულობის მოსაწყობად უნდა. ნაცები ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდნენ და ყველაფერს გააკეთებენ. თუმცა სააკაშვილის გარეშე უმაქნისები არიან, რამდენიმე ჯგუფად დაიშალნენ, მაგრამ ლიდერი არავინ ჰყავთ და ამიტომაც მისტირიან სააკაშვილს. იმედია, ხალხი აღარ გაიმეორებს 2003 წლის შეცდომას.

**გია ბურდული**
551 71 27 07



„საერთო გაზეთი"
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

„მოუხელთებელ ჯოდ“ და „სახურავის ბინადარ კარლსონად“ შერაცხულ, კრემლთან და პუტინთან „თავდაუზოგავად მებრძოლ“ სააკაშვილს (ეს მისი სიტყვებია), სწორედ კრემლთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ უკრაინელები. სააკაშვილის სახლის სახურავზე ხმაურიანი დაკავება-გათავისუფლების შემდეგ, ბუნებრივად გაჩნდა კითხვა, რატომ მანამდე არ მოხდა მისი დაკავება, როცა ყველამ იცოდა, სადაც იმყოფებოდა. უკრაინის შს მინისტრის მრჩევლის შკირიაკის განცხადებით, ისინი მოერიდნენ ქვეყანაში არსებულ საკმაოდ დაძაბული პოლიტიკურ სიტუაციაა, რომლის გამწვავებასაც ცდილობენ სააკაშვილი და მისი პატრონები კრემლიდან, კიევის ერთ-ერთ რაიონში, მშვიდ ვითარებაში მოხდა მისი დაკავება, წინააღმდეგობა არ გაუწევიაო. შკირიაკის განცხადებით, პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები ბოლომდე გამყარებულია და გენპროკურორი ლუცენკო მზადაა ნებისმიერ სასამართლოში წარადგინოს, აქედან გამომდინარე, გასაგებია სააკაშვილის ისტერიკაო. სააკაშვილს იმასაც ედავებიან, რომ დაფინანსებას უკრაინის დევნილ ექსპრეზიდენტთან იანუკოვიჩთან დაახლოებული ასევე დევნილი ბიზნესმენისგან კურჩენკოსგან იღებდა დაფინანსებას. შკირიაკმა „რუსთავი-2“-თან სატელევიზიო ჩართვისას განაცხადა, რომ სააკაშვილმა ფულისადმი სიხარბის გამო, ამორალური საქციელი ჩაიდინა, როდესაც იანუკოვიჩის ოლიგარქ კურჩენკოსგან თანხა აიღო, რომელიც რა თქმა უნდა, უკრაინელი ხალხისგანაა მოპარული. სააკაშვილს პირადად არ აუღია ეს ფული, ამიტომ წაუყენეს სხვა ბრალდება და ლუცენკომაც შედარებით მსუბუქი აღკვეთის ზომის შეფარდება მოითხოვაო. ოფიციალური კიევის ცნობით, თანხას, უშუალოდ სააკაშვილის ნდობით აღჭურვილი პირი, სევერიონ დანგაძე იღებდა. გავრცელებული ინფორმაციით, დანგაძემ კურჩენკოსგან ნახევარი მილიონი დოლარი მიიღო. ის სააკაშვილზე ადრე დააკავეს და მისი ბინის ჩხრეკისას ამ თანხის ნახევარი ამოუღიათ უკრაინელ სამართალდამცავებს. იანუკოვიჩი და კურჩენკო ამჟამად რუსეთში ცხოვრობენ. უკრაინელების მხრიდან ამ თემაზე აქცენტირებამ, რუსი ექსპერტებისა და ჟურნალისტების უკმაყოფილება გამოიწვია, ახლა ყველა ცოდვას კურჩენკოს აჰკიდებენ, რომ „მიხო-მაიდანის“ მოწყობაში რუსეთი დაადანაშაულონო. ცნობისთვის, ახლახანს ერთ-ერთმა უკრაინულმა ტელეარხმა მოსახლეობის გამოკითხვა ჩაატარა, დაახლოებით 48.000 გამოკითხულიდან, 82%-ს იანუკოვიჩის „დანაშაულებრივი ხელისუფლების“ დაბრუნება უნდა, მხოლოდ 8%-მა გამოუცხადა სიმპათია „ევრომაიდნის“ ხელისუფლებას.

რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიის საკვირაო გადაცემაში, გასული კვირა უკრაინის უახლეს ისტორიაში ყველაზე უფრო გამორჩეულად შეაფასეს. გადაცემის წამყვანის დიმიტრი კისელიოვის განცხადებით, სააკაშვილი და პოროშენკო რომ არაფრით არიან ერთმანეთზე უკეთესი და ორივე ყალბი ლიდერია, უკრაინაში უკვე ბევრი ხვდება. ბარიკადებისა და კარვების ქალაქის პროტესტის მიზეზი, ექსტრავაგანტურ ქართველზე მეტად, ის იმედგაცრუებაა, რომელიც მთელ ქვეყანაშია გამეფებული, ყველაფერი ჩიხისკენ მიედინება, რამაც პროტესტის მახინჯი ფორმა გამოიწვია, თუნდაც კეტებით ჩხუბი, თავი შუასაუკუნეებზე გადაღებულ ფილმში გეგონებაო. საყოველთაო განხილვის საგანია ზორბა უკრაინელი ფემინისტი ქალი, რომელიც ხელში ნავის ნიჩბით და სასტვენით გამოცხადდა კარვების ქალაქში, ცივ დეკემბერში გაშიშვლებასაც არ მოერიდა და სტვენის თანხლებით გაახმოვანა სხეულზე წაწერილი ფრაზა, პეტია და მიხო, მოუსვით „სამი მხიარული ასოსკენო“. როგორც გაირკვა, პროტესტანტი „ფემინისტკა“... ფილოლოგია, უკრაინული ენისა და ლიტერატურეს სპეციალისტ. რუსი ჟურნალისტის აზრით, მას მობეზრდა ორი მსახიობის ეს ცირკი, არ მგონია, დეკემბრის კიევში ბევრმა მოისურვოს გაშიშვლება, მაგრამ ამ ქალბატონის ეპატაჟურ პროტესტს, შინაგანად ნამდვილად იზიარებს უკრაინელების უმრავლესობა. თურმე სოციალურ ქსელებში, „კრიშაზე“ ამძვრალ, წყლიანი ბოთლით „აღჭურვილ“ სააკაშვილს, „12 სკამის“ გაკრეჭილ მღვდელს ფიოდორს ადარებენ, ალბათ ყველას გახსოვთ ამ ბრწყინვალე ფილმის კადრი, როცა ყოფილი მღვდელი „კისასთვის“ წართმეული ძეხვის ნაჭრით, კავკასიონის ერთ-ერთ ციცაბო კლდეზე არბის. სააკაშვილს თამარ-მეფის მაგივრად, უკრაინელი სპეცრაზმელები გამოეცხადნენ „ბატინკების“ ბრახუნით, სახურავიდან, მოხსნეს“ და ათი წუთი მაინც მოანდომეს, მის „სახაზინო ტრანსპორტში“ ჩატვირთვას, რადგან სააკაშვილი არტისტულად მონუმენტალური იყო. რუსი ჟურნალისტის მახვილ იუმორზე მართლაც გაგეცინებოდა, საქმე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტს რომ არ ეხებოდეს, რომელიც სისხლისა და ცრემლის თანხლებით მართავდა ქვეყანას. სააკაშვილს რომ მხარდაჭერის იმედი არ ჰქონდეს, ცხადია, ამდენს ვერ გაბედავდა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ის ხომ მაინც გვახსოვს, აგვისტოს ომის დროს როგორ დაფორთხავდა გორის ქუჩებში და ჰალსტუხს ღეჭავდა. მხარდამჭერებიც მალე

# პეტრო და მიხო, სამი მხიარული ასოსკენ ნაბიჯით იარ!





გამოჩნდნენ, კიევის პოლიტიკური ცენტრიდან, როგორც მას კისელიოვი უწოდებს, ანუ ამერიკის საელჩოდან, ვიცით სააკაშვილი დაკავებული რომ იყო და კიევის ცენტრში პროტესტი გრძელდება, ორივე მხარეს მოგიწოდებთ, განმუხტოთ დაძაბულობა და შეწყვიტოთ ძალადობა. დაჟინებით ვაკვირდებით პროცესებს და ველიით, რომ გამოძიება ოპერატიულად, უკრაინის კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარდებაო. აქეთ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ქალბატონმა გააკეთა განცხადება, უკრაინის ხელისუფლებასთან მჭიდრო კონტაქტში ვართ, მათთან კარგი ირთიერთობა გვაქვს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერში ვეთანხმებით. ხელისუფლებას ვითარების დეესკალაციისკენ მოვუწოდებთო. ამ დროს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრყ კლიმკინი ირწმუნება, დასავლეთი სააკაშვილის დაკავებას უკრაინის შიდა საქმედ მიიჩნევს, გვითხრეს, საკუთარი საქმე აკეთეთ, უბრალოდ სამართლებრივი ველის ფარგლებში დარჩითო. ძალზე საგულისხმოა, ზემოხსენებული აშშ-ის საელჩოსა და სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებების ჟურნალისტ კისელიოვისა და კიეველი პოლიტოლოგის პოგრებინსკისეული შეფასებები. კისელიოვის თქმით, სააკაშვილის ჯერ კიდევ პირველი დაკავებისას მიანიშნა უკრაინის ხელისუფლებას, რომ თვალს არ დახუჭავენ იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება. პოროშენკომ ან ვერ წაიკითხა სტრიქონებს მიღმა აზრი, ანდა თავი ისე უჭირავს, რომ ვერ გაიგო სააკაშვილის მეგობრების გზავნილი. პოგრებინსკის განცხადებით კი, ამერიკელებმა პოროშენკოს მიანიშნეს, რომ მათ შორის სააკაშვილის ქმედებებით, რომ არცთუ ისე მყარად ზის პრეზიდენტის სავარძელში და თუ ჭკუით არ მოიქცევა, მარტო სააკაშვილს კი არა, სხვა აქტივისტებსაც მიეხმარებიან, ვისაც პოროშენკოს გადაყენება უნდათ.

მიხეილ სააკაშვილი რომ თავისი ქმედებებით რუსეთის წისქვილზე ასხამდა წყალს, ეს არახალია, ასე იყო საქართველოში და ასეა უკრაინაშიც. რუს პოლიტიკოსებსა თუ ექსპერტებს არაერთხელ უთქვამთ ხუმრობით, რომ სააკაშვილი, ისევე, როგორც პოროშენკო მათი „კაცია“, რუსეთის საქმეს აკეთებს და მაგალითად, ყირიმი, დონბასი, აფხაზეთი და სამაჩაბლო მოყავთ. ისეთ ხუმრობას რა ვუთხრათ, სადაც ნახევარი სიმართლე არ არის. ქართველებისა და უკრაინელების ნაწილი ახლაც ამტკიცებს, რომ კიევში მიმდინარე მოვლენები რუსეთის ინტერესებშია, რადგან მას შეიძლება უკრაინის საბოლოო დაშლა მოყვეს. ამ მოსაზრებას ჩვენც ვეთანხმებით, მაგრამ ერთი დამატებით, რუსეთთან ერთად, ეს დასავლეთის ინტერესებშიც არის. სტალინის მიერ შეკოწიწებულ ქვეყანასთან ტერიტორიული პრეტენზიები მის დასავლელ მეზობლებსაც აქვთ, ლვოვის ოლქი და მიმდებარე ტერიტორიები მეორე მსოფლიო ომამდე პოლონეთს ეკუთვნოდა, უჟგოროდის ოლქი უნგრეთს, სადაც საკმაოდ ბევრი უნგრელი ცხოვრობს, ისტორიული ბესარაბიაც რუმინეთის კუთვნილება იყო, ასე რომ, უკრაინის დაშლის შემთხვევაში ყველა თავის „წილს“ მოითხოვს. რამდენადაც ცნობილია, პოროშენკოს ამ საკითხთან დაკავშირებით რაღაც ხელშეკრულებაზეც აქვს ხელი მოწერილი. ექსცენტრიულ პოლიტიკოს ჟირინოვსკის ტოქშოუებში არაერთხელ წამოუძახებია უკრაინელი პოლიტოლოგებისა და ექსპერტებისთვის, თუ ჭკუით არ იქნებით, უკრაინა მარტივ მამრავლებად დაიშლებაო. ამას რუსეთის დუმის სხვა წევრებიც პროგნოზირებენ, სენატორმა ფრანც კლინცევიჩმა ღიად განაცხადა, რომ კიევის ხელისუფლება უკრაინას დაშლის. ყველა ზემოჩათვლილი ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირის წევრია და რომელ ჭკუათმყოფელს არ ენდომება, საკუთარი ტერიტორიების გაფართოება. ამ საკითხზე ქართველი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნაწილი დუმილს ამჯობინებს, ეტყობა არ უნდათ დასავლელი მეგობარ-პარტნირები გაანაწყენონ. ჩვენი რესპოდენტების განცხადება, რომ რუსეთი და დასავლეთი, განსაკუთრებით ამერიკა, გარკვეულ შემთხვევებში შეთანხმებულად მოქმედებენ, როგორც ჩანს საფუძველს არ არის მოკლებული. უკრაინის მოქმედ ხელისუფლებასა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობის დაძაბვაზე წერს ერთ-ერთი რუსული საიტი, რაც უკრაინის ანტიკორუფციული ბიუროსა და გენპროკურატურას შორის კონფლიქტს უკავშირდება. კონფლიქტი შეიძლება კიდევ უფრო გამწვავდეს, რაც ქვეყანას კიდევ უფრო დააზარალებს. ამერიკა ამ „ბრძოლაში“ ანტიკორუფციონერებს უჭერს მხარს, რაც ალბათ არცა გასაკვირი, რადგან რესპოდენტის განცხადებით, უკრაინის ანტიკორუფციულ ბიუროში ამერიკული დაზვერვის ფედერალური ბიუროს თანამშრომლები მუშაობენ.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24



# კახეთს არაბები შეესივნენ – ილიაწმინდაში არაბმა გლეხს ცოლი წაართვა და ახლა ბავშვების წართმევით ემუქრება

**რატომ დარჩნენ დედოფლისწყაროელი გლეხები სახნავ-სათესი მიწის გარეშე, ვინ და როგორ დააბრუნა სიღნაღის რაიონში მონათმფლობელური წყობა და რა საფრთხეს უქმნის ქვეყანას სააკაშვილის ხელისუფლების დროს დაწყებული პროცესები? „საერთო გაზეთს" არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიცია „სახალხო ტრიბუნების" პრეზიდენტი მაიისა ჯაფარაშვილი ესაუბრა:**



– მოზარდებში აგრესიის მატებამ და გახშირებული ძალადობის შემთხვევებმა და კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ პრობლემის მიზეზი ქვეყნის არასწორი მიმართულებით განვითარებაში უნდა ვეძებოთ. სამწუხაროდ, ჩვენი კანონმდებლობა ჩვენს ტრადიციებს და გენეტიკას მთლიანად აცდენილია. გლობალისტებმა და ლიბერალებმა რამდენიც არ უნდა „დაგვამუშაონ", ისეთი ძლიერი ფესვები და გენეტიკა გვაქვს, „უცხოს" ადვილად ვერ მივიღებთ. სწორედ უცხოსა და მიუღებელის ძალით შემოჩეჩებამ გამოიწვია ადამიანებში აგრესია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საქართველოში მოსახლეობის 30% ფსიქიკაშერყეული დადის და ძალადობის ფაქტების გახშირება რა გასაკვირია? წარმოიდგინეთ, სოფლის მოსახლეობას რომ სახნავ-სათესი მიწისა და ელემენტალური შემოსავლის გარეშე დატოვებ, მშვიდად როგორ უნდა იყოს? ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 2011 წელს, ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს შეიქმნა შპს „ჯეო აგრო". ტელევიზიებში განუწყვეტლად ტრიალებდა სარეკლამო რგოლები, რომ ეს იყო წარმატებული საინვესტიციო ფონდი, რომელსაც ინვესტიციები უნდა მოეზიდა, სოფლის მეურნეობა უნდა განევითარებინა, მოსახლეობა უნდა დაესაქმებინა და ქვეყანა აეყვავებინა. იმავე წელს სახელმწიფომ ამ „ჯეო აგროს" დედოფლისწყაროს რაიონში მდებარე სოფლების ზემო ქედის, ქვემო ქედისა და არხილოსკალოს ტერიტორიაზე 3600 ჰექტარი მიწა გადასცა. ერთი წლის შემდეგ, 2012 წელს „ჯეო აგრომ" ეს მიწები „საქართველოს ბანკში" იპოთეკით დატვირთა. ეს კერძო სტრუქტურაა და არავინ მომცემს ინფორმაციას, ბანკიდან აღებული ფულით რა გააკეთა, თუმცა ფაქტი სახეზეა, რომ იპოთეკის თანხა ვერ გადაიხადა და 2016 წელს ეს 3600 ჰექტარი მიწა „საქართველოს ბანკის" საკუთრებაში გადავიდა. წარმოიდგინეთ, ხსენებულ სამ სოფელში მცხოვრები 5000-მდე ადამიანის მდგომარეობა, რომლებმაც ბანკის ხელში ჩავარდნილ მიწებზე მარცვლეული კულტურების თესვის და თავის რჩენის ერთადერთი საშუალება დაკარგეს. იქ სხვა შემოსავალი არ არსებობს და მიწის დამუშავების უფლება თუ არ მისცეს, ეს 5000 ადამიანი იძულებული გახდება დედაბუდიანად აიყაროს და სხვაგან გადაიხვეწოს..

**– როგორც ვიცი, ამ ადამიანებმა დახმარებისთვის თქვენს ორგანიზაციას მიმართეს.**

– ჩვენ რომ სიტუაციის გასარკვევად ჩავედით, ბანკს მიწის ნაკვეთებთან დაცვა ჰყავდა დაყენებული. თბილისიდან სპეცდანიშნილების რაზმებიც კი ჩაიყვანეს, რომ ხალხს მიწა არ დაემუშავებინა და ხორბალი არ დაეთესა. 20 ნოემბერს ზემო და ქვემო ქედის და არხილოს მოსახლეობამ გამგეობის წინ აქცია გამართა და დილიჩის გასხვისებული მიწების დაბრუნება მოითხოვა. ეს ხალხი წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად უხდიდა „ჯეო აგროს" მიწის იჯარის ფულს. სხვა საკითხია, კომპანიას ეს ფული ბანკის ანგარიშზე შეჰქონდა თუ არა.. აქციების ფონზე, ბანკი იძულებული გახდა, რომ ხალხისთვის თესვის უფლება მიეცა, მაგრამ ხვალ და ზეგ რა იქნება, არავინ იცის.

**– „საქართველოს ბანკის" პოზიციის შესახებ რა იცით?**

– ამ საკითხზე მოლაპარაკებების საწარმოებლად, დაახლოებით ერთი თვის წინ, თბილისში კახეთის რეგიონის გუბერნატორი დედოფლისწყაროს დეპუტატი და რაიონის გამგებელი ჩამოვიდნენ. სხვათა შორის, დედოფლისწყაროს ამჟამინდელი გამგებელი „საქართველოს ბანკის" ყოფილი თანამშრომელია. მოლაპარაკებების დროს გაირკვა, რომ „საქართველოს ბანკი" მზადაა გლეხებს ჰექტარი მიწა 1700 ლარად დაუბრუნოს, თუმცა გლეხებს ამის საშუალება არა აქვთ. ისიც უცნობია, როგორ მოსავალს მიიღებენ, რადგან „ჯეო აგროს" დროს, ამ მიწებზე სარწყავი სისტემები და ყველანაირი ინფრასტრუქტურა განადგურდა და მოსავალი მთლიანად ბუნების წყალობაზეა დამოკიდებული. საერთოდ, მიწა ქართველ ხალხს ეკუთვნის და არა „ჯეო აგროს" ან რომელიმე ბანკს, ამიტომ გლეხებს მიწის გამოსასყიდი კი არ უნდა დაუწესონ, უნდა გაარკვიონ „ჯეო აგროსთვის" მიწის გადაცემა რამდენად კანონიერად მოხდა, რა დააშავა ამ ხალხმა და სხვისი ვალის გამო რატომ უნდა დაზარალდეს? შევარდნაძის დროიდან მოყოლებული, უპასუხისმგებლო ჩინოვნიკები ქვეყანას ისე ყიდიან, თითქოს მამა-პაპის დანატოვარი იყოს და პასუხს არავინ თხოვ თ. ის, რაც ახლა ხდება, სწორედ ასეთი დაუსჯელობის შედეგია.

**– საბოლოოდ, ბანკთან შეთანხმება შედგა თუ არა?**

– ჩვენ წერილი გაუგზავნეთ დედოფლისწყაროს გამგებელს და პასუხად მივიღეთ, რომ „საქართველოს ბანკთან" და „ჯეო აგროსთან" შეთანხმება მიღწეულია და მოსახლეობა მზადაა მიწის საფასური 8 წლის განმავლობაში გადაიხადოს. თუმცა, ამ შეთანხმებას მოსახლეობის მცირე ნაწილმა მოაწერა ხელი. უმრავლესობა თავს იკავებს, იმიტომ, რომ ხალხი გადახდისუუნაროა. ამ ეტაპზე სიტუაცია ასეა გაჩერებული.

**– როგორც ვიცი, მსგავსი პრობლემები მხოლოდ დედოფლისწყაროში არაა და თქვენი ორგანიზაცია ანალოგიურ პრობლემებზე საქართველოს რამდენიმე რაიონში მუშაობს.**

– ნამდვილად ასეა. წლების წინ, სიღნაღის რაიონის სოფელ ილიაწმინდაში, 1500 ჰექტარზე განთავსებული იყო ახალი ჯიშების გამოყვანის სელექციური ცენტრი თავისი ინფრასტრუქტურით და შენობა-ნაგებობებით. შემდეგ ეს ტერიტორია კეზერაშვილმა და ადეიშვილმა მიისაკუთრეს და 2012 წლის დეკემბერში ვიღაც არაბებს გადაუფორმეს. ეს 1500 ჰექტარი ახლა არაბების ხელშია, რომლებმაც სიღნაღში მონათმფლობელური წყობა დაამკვიდრეს და ადგილობრივი მოსახლეობა მონებად აქციეს. წარმოიდგინეთ, ადამიანებს თავიანთ მიწაზე გავლის საშუალებას არ აძლევენ და ადგილობრივი მცხოვრების საქონელი რომ გადავიდეს, იმ საქონელსაც კი ართმევენ. თუმცა, საქონელს ვინ დაეძებს, კაცს ცოლი წაართვეს და სამი შვილი უდედოდ დატოვეს.

**– ცოლი როგორ წაართვეს?**

– ჩვეულებრივად.. არაფერს ვაჭარბებ. ილიაწმინდელი კაცის ცოლი არაბმა წაიყვანა და არავინ იცის, ის ქალი ახლა სადაა. ის არაბი ამ კაცს შვილების წართმევითაც ემუქრება. ბავშვების ბებია გაგიჟებულია, ბავშვებს ცოცხალი თავით არავის დავუთმობო და ეზოდან არ უშვებენ. მოსახლეობა ისეთ დღეშია, რომ მზადაა, დაუმორჩილებლობა გამოაცხადოს და მიწები თვითონ დაამუშაოს. გაიგოს ამ ხალხმა, რომ





მარტო კანონმა და ხელისუფლებამ კი არა, უცხოელს პირველ რიგში, ხალხმა უნდა მისცეს მეზობლად ცხოვრების უფლება და ეს იქნება ყველაზე დიდი ლეგიტიმაცია. თუ ჩვენთან ცხოვრება და მეზობლობა უნდათ, მობრძანდნენ, მაგრამ იმდენი მიწა მივცეთ, რაც საცხოვრებლად ეყოფათ. ჩვენ მიწაზე შეყვარებული ხალხი ვართ ამას თუ წაგვართმევენ, რაღა დაგვრჩება? იმ არაბმა ახლა იორი დააგუბა, ტბას აკეთებს და არაბული ქალაქი უნდა გავაშენოო. მილიონ ნახევარი ქართველი საქართველოდან ლუკმა პურის საშოვნელად არის გაქცეული და იმათ რა ვუყოთ, არასოდეს დავაბრუნოთ? ან ჩვენ გამრავლებას არ ვაპირებთ? სად ვასახლებთ ჩვენს ხალხს? იქ ირანული და ჩინური სოფელიო, აქ არაბული ქალაქიო და ჩვენი ადგილი სად არის საქართველოში?

**– თქვენი პოზიცია გასაგებია, თუმცა უცხოელებზე უკვე გასხვისებული მიწების უკან დაბრუნება სამართლებრივად როგორ წარმოგიდგენიათ?**

– ისეთ დიდ ქვეყნებშიც კი, როგორიც აშშ და ინგლისშია, როცა დაინახეს, რომ უცხოელებისთვის მიწის მიყიდვამ სახელმწიფოებრივ ინტერესებს საფრთხე შეუქმნა, ნაციონალიზაცია განახორციელეს. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხელისუფლება ამას ვერ გაბედავს, ამიტომ უნდა დაანებონ თავი ტაშ-ფანდურს, შეადგინონ გეგმა და მიწის გამოსყიდვა დაიწყონ. სულ ახლახან, თბილისის საახალწლოდ განათებაში 3 მილიონი გადაიხადეს. გასაგებია, რომ ახალი წელი მოდის, მაგრამ ჩვენ ისეთ სავალალო მდგომარეობაში ვართ, რომ გართობა უნდა მოვიკლოთ და გაყიდული საქართველო გამოვისყიდოთ. მერწმუნეთ, ასეთი სიტუაცია მარტო სიღნაღსა და დედოფლისწყაროში არაა. გარდაბანში, თელავში, წყალტუბოში, აბაშაში და ყველგან იგივე ხდება. ამ ეტაპზე ყველაზე მთავარია, რომ მიწა მოიხნას და დაითესოს, რომ ხალხი არ დაიმშეს და მერე ამ საქმეებს სამართლებრივად მივხედავთ. ჩვენ ახლა ეროვნული ღირსების დარბაზი ჩამოვაყალიბეთ, რომელიც სწორედ ასეთ ეროვნულ საკითხებზე მუშაობს და დარწმუნებული ვარ, ერთად დგომით აუცილებლად გავიმარჯვებთ.

**დედოფლისწყაროელთა გასაჭირზე „ჯეო აგროს" პოზიციის გაგებითაც დავინტერესდით. კომპანიის დირექტორის თქმით, ისინი ყველაზე მეტად დაზარალდნენ, რადგან მიწის დაკარგვის მიუხედავად, ბიუჯეტის წინაშე აღებულ ვალდებულებების შესრულება უწევთ.**

**შპს „ჯეო აგროს" დირექტორი ბესიკ თეთვაძე:**

– როგორც იცით, ჩვენ ვერ დავფარეთ საბანკო ვალდებულებები და ბანკმა მიწა სესხის უზრნველყოფიდან გამომდინარე, ოფიციალურად წაიღო. დიდი მცდელობის მიუხედავად, ამ ფართის დათმობა მოგვიწია. შესაბამისად, ამჟამად, არავითარი მოლაპარაკებების პროცესებში არ ვიღებთ მონაწილეობას, რადგან იურიდიული და ფაქტიური მფლობელიც ბანკია.

**– როგორც ვიცი, ადგილობრივი მოსახლეობა საიჯარო გადასახადებს წლების მანძილზე კეთილსინდისიერად იხდიდა. ამიტომ საინტერესოა, რატომ ვერ მოხერხდა საბანკო ვალდებულებების შესრულება?**

– 3535 ჰექტარიდან გაქირავებული დაახლოებით 300–500 ჰექტრამდე იყო. თანაც ჩვენ მოსახლეობასაც შეღავათებს ვუკეთებდით- ნაწილს თავიდან ვახდევინებდით და ნაწილს მოსავლის აღების შემდეგ. ამის გარდა, ჩვენ ქონების გადასახადის სახით ვალდებულებებიც გვაქვს ბიუჯეტთან და ყოველწლიურად, ლამის 400 000 ლარს ვიხდით. ასე, რომ ყველაზე მეტად მაინც ჩვენ დავზარალდით..

ნელი თორდია
571 35 36 88

# მითხარი, როგორი საგადასახადო პოლიტიკა გაქვს და გეტყვი, რას წარმოადგენს შენი სახელმწიფო

*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ეკონომისტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ᲘᲣᲠᲘ ᲙᲐᲙᲐᲡᲥᲣᲐ:*

**— ბატონო იური, სახელმწიფოს სიძლიერის ერთ-ერთი განმაპირობებელი, ალბათ, ქვეყნის სწორი საგადასახადო პოლიტიკაა. მოდით, საუბარი საგადასახადო კოდექსით დავიწყოთ, ამ კუთხით, რა პრობლემებია?**

— კოდექსი რომ გვაქვს, ეს კარგია.

მოქმედი საგადასახადო კოდექსი რიგით მესამეა. წინამორბედებში დაუსრულებლივ შეჰქონდაც ცვლილებები და დამატებები. ყველა შემთხვევაში, ეს ცვლილებები არ იყო ორიენტირებული სრულყოფასა და გამარტივებაზე. ცვლილებების ნაწილი ცალკეული ლობისტური ჯგუფებისა და პოლიტიკოსების ახირებებს ითვალისწინებდა. ხშირი, გაუმართავი, გამკაცრებისკენ მიმართული, გადამხდელის ინტერესების საწინააღმდეგო ცვლილებები და დამატებები ქმნიდენ არასტაბილურ, ამასთან გადამხდელისთვის არახელსაყრელ გარემოს. ამ მხრივ, არც მოქმედი კოდექსია გამონაკლისი, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული საგადასახადო სისტემა მთელს პოსტსაბჭოთა სივრცესა და აღმოსავლეთ პარტნიორობის წევრ ქვეყნებში ყველაზე საუკეთესოა. გადამხდელები ოფისიდან გაუსვლელად უკვე სარგებლობენ ელექტრონული დეკლარირებით, სასაქონლო ზედდებულებისა და ანგარიშ-ფაქტურების გამოწერა მთლიანად ელექტრონულია, საკასო აპარატების ფისკალური მეხსიერება მიერთებულია ერთიან ელექტრონულ ბაზასთან, საბაჟო ოპერაციები და დეკლარირებაც ელექტრონულად ხორციელდება, ნებისმიერი ნორმატიული აქტის კონსოლიდირებული ვერსია და სიტუაციური სახელმძღვანელო განთავსებულია შემოსავლების სამსახურის საიტზე და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირისთვის.

**— გაძვირდა აქციზის გადასახადი, რაც ავტომატურად იწვევს ფასების ზრდას და ლარს კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აგდებს. აქვე, საინტერესოა რამდენად მისაღებია ჩვენი ქვეყნისთვის მოგების დაბეგვრის ესტონური მოდელი?**

— ერთი შეხედვით, აქციზის გაძვირება და **„მოგების დაბეგვრის ესტონური მოდელი“**, კავშირში არ უნდა იყოსო, შესაძლოა იფიქროს სხვამ, თუმცა თქვენ სწორად შენიშნეთ მათი ურთიერთდამოკიდებულება.

ის, რაც ჩვენთან დამკვიდრდა, ესტონური არაა. ესტონურისგან მხოლოდ განაწილებული მოგების დაბეგვრის იდეაა გადმოღებული. ესტონურ მოდელს მხოლოდ ესტონეთში, კონკრეტულ გარემოში, დროსა და ვითარებაში ქონდა წარმატება. ეს მოდელი სხვა არც ერთ ქვეყანაში არ გადაუღიათ, ევროკავშირმაც კი არ მიიღო და გავრცელება ვერ ჰპოვა. თეორიული გათვლებით, ამ მოდელს (ასე მას პირობითად შეიძლება ვუწოდოთ) კვლავწარმოების გაფართოების მოტივაცია გააჩნია. ვერ ვუარვყოფ, რაღაც ეტაპზე ეს ასეც მოხდება. მაგრამ მაშინ, როდესაც სამეწარმეო სუბიექტების 90%-ზე მეტი მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოა, მათ გაფართოებისთვის იმდენი რესურსი არ რჩებათ, რომ ეკონომიკას მატება მალე დაეტყოს.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შემოღებით ბიუჯეტის შემოსავლებს არანაკლებ 500,0 მილ. ლარი აკლდება რამდენიმე წელიწადს მაინც. ეს მნიშვნელოვანი თანხაა, მით უფრო, ჩვენი ეკონომიკისთვის.

**— რით ივსება ბიუჯეტი?**

— ეს მართლაც საინტერესო საკითხია — რით ივსება, რისგან შედგება ბიუჯეტი?

ადრე, ბიუჯეტში ყველაზე დიდ ნაწილს გადასახადები შეადგენდა. დღეს, გადასახადები მთლიან შემოსავლებში იმდენი არაა, მათი ადგილი მოსაკრებლებმა, ჯარიმებმა, საურავებმა შეავსო. ნახეთ, რა წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე: 2011 წელს პრეზიდენტმა გამოსცა **ეკონომიკური დამოუკიდებლობის აქტი**, რითაც ახალი გადასახადის დაწესების, მისი გაზრდის საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ რეფერენდუმით არის შესაძლებელი. არ ვიცი, ვის შეიძლება მოუვიდეს ასეთი აზრად, ხალხს შეეკითხოს: გინდათ ეს გადასახადი თუ არა, მოქნილია იგი თუ არა? რომელი გადამხდელი იტყვის, არიქა, გამიზარდეთ გადასახადი, მეტი მაქვს და არ მჭირდებაო. ამიტომაცაა, როცა ბიუჯეტს პრობლემები ექმნება, ყოველთვის არის ცდა მოსაკრებლები გაზარდონ. დღეს ბიუჯეტის შემოსავლების უფრო მეტი ნაწილი მოსაკრებლებია.

**— გამოდის, რომ ბიუჯეტი მოსაკრებლებით ივსება. რატომ ხდება ასე?**

— აბა, გადასახადები იმდენი არაა, ბიუჯეტს რომ ეყოს. ეკონომიკა არ იზრდება ან ნელა იზრდება. გადასახადების განაკვეთების გაზრდა ისედაც უკმაყოფილებას გამოიწვევს, ამასთან, ეს შესაძლებლობა შეზღუდულია ეკონომიკური დამოუკიდებლობის აქტით. ჯარიმების გადაუხდელობაზე საურავებს ვერ დააწესებ. ჯარიმებზე საურავები რომ დააწესო, წარმოგიდგენიათ რა მოხდება? — ასე მოსახლეობას სულ განადგურებ.

**— ოპოზიცია მუდმივად გადასახადების შემცირებას ითხოვს. რას მოგვცემს ეს ყოველივე?**

— სიმართლე გითხრათ, ჩვენთან საგადასახადო ტვირთი ერთ-ერთი ყველაზე ნორმალურია. იგი არც ყველაზე დაბალია და არც ძალიან მაღალი. მაგრამ პრობლემა სხვა რამ არის. ვინ იხდის გადასახადს? — კოდექსის მიხედვით გადასახადის გადამხდელი არის პირი, რომელიც შემოსავალს ღებულობს. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი. სინამდვილეში, იურიდიული პირი არაფერს იხდის. არაპირდაპირი გადასახადები — დამატებული ღირებულების გადასახადი, აქციზი, იმპორტის გადასახადი მომხმარებლის გადასახადია, საწარმო, იურიდიული პირი აგენტის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ. პირდაპირ გადასახადებსაც (მოგებას, საშემოსავლოს, ქონების გადასახადს) სინამდვილეში მომხმარებელი იხდის. რა არის მოგების გადასახადი? ესაა გადასახადი სხვაობიდან შემოსავალს მინუს ხარჯი. ქონების გადასახადს ვინ იხდის? ქონების გადასახადი თვითღირებულებაში აისახება და შესაბამისად, როცა პროდუქციას ვყიდულობ, მომხმარებელი მას იხდის. რაც თვითღირებულებაში შედის, იმის გადამხდელი მხოლოდ და მხოლოდ მომხმარებელია. ასეა ამ გადასახადების რეალური ბუნება.



**— ამდენი გადასახადი ზურგზე ღატაკ ადამიანებს აწევთ, ასე როგორ ავაშენოთ მდიდარი სახელმწიფო?**

— უფრო რომ დავკონკრეტდეთ, რაზეც ახლა ვისაუბრე, ეს გადასახადი არ არის. გადასახადი არის ის, რაც კოდექსითაა გათვალისწინებული. ეს არც მოსაკრებელია. ჩვენ გვაქვს საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი (ქონების) გადასახადი. სულ 6 გადასახადია დაწესებული: აქციზი, დამატებითი ღირებულების გადასახადი, მოგების, საშემოსავლო, იმპორტის და ქონების გადასახადი. ეს არის რასაც საგადასახადო კოდექსი არეგულირებს. სხვა მოსაკრებლებია სათამაშო ბიზნესიდან, მომსახურებიდან და საქმიანობიდან, ჯარიმებია, საურავებია. ბიუჯეტში გადასახადებს ბევრად სჭარბობს სხვა შემოსავლები. ეს ნიშნავს, ეკონომიკა არ ვითარდება. მოსახლეობაზე სახელმწიფო არ ზრუნავს. მომხმარებელი, მოსახლეობა ინახავს სახელმწიფოს და ბიუროკრატიას, რომელიც, პრაქტიკულად, არაფერს აკეთებს. ადრე, ძალიან საინტერესო საზოგადოებაში ვცხოვრობდით, სადაც სხვა რამ იყო პრივილეგია. ჩვენ ის მოვსპეთ, გავანადგურეთ. აღმოვჩნდით, სრულიად უცხო, დაუცველ გარემოში, სადაც დამოუკიდებლად თავი უნდა გაიტანო და სხვაც უნდა არჩინო. სოციალისტურ იდეალებს მრავალჯერ დაუბრუნდება საზოგადოება. სანამ მთავარი საზრუნავი ადამიანი არ გახდება, საშველი არ მოვა.



**— ბატონო იური, ბოლოს ინვესტიციებზეც მინდა გკითხოთ. მაგალითად, თურქეთმა ეკონომიკა სწორედ იმით გააძლიერა, რომ ინვესტორებს ბეგარა ხუთი წლით მოუხსნა. ჩვენთან როგორი საინვესტიციო გარემოა?**

— ძალიან რთულ თემას შეეხეთ. იცით, როგორ განვითარდა სამხრეთ-კორეა? მან საოცარი რამ გააკეთა. როცა ქვეყნის თავები დაფიქრდნენ, მიხვდნენ, რომ არ ჰყავდათ სათანადო კადრები. გადაწყვიტეს კადრების კვალიფიკაცია აემაღლებინათ, თუ ადგილზე არ ჰყავდათ შესაბამისი სპეციალისტები, სასწავლებლად ევროპაში აგზავნიდნენ, ოღონდ, მიზნობრივად ასწავლიდნენ საჭირო სპეციალობებს. შედეგად, კორეა უცებ განვითარდა, დღეს, იგი, იაპონიის დონეზეა. თურქეთმა 80-იანი წლების დასაწყისიდან საოცარი რამ გააკეთა, მან ლიბერალური პოლიტიკა გაატარა, რამაც ბაზა შექმნა და მერე, ყველაფერი დალაგდა. ინვესტიციები უფაქიზესი თემაა. ვინც ევროპაში წავიდა და ისწავლა, მათი გაგებით, საქართველოსთვის, ინვესტიციები აუცილებელია. ბევრს წარმოუდგენია, რომ უცხოური ინვესტიცია ეს არის საქართველოს გადარჩენა, სინამდვილეში ასე არ არის. თუ განვიხილავთ იმ ინვესტიციების გენეზისს, რაც საქართველოში განხორციელდა, თუ როგორ დაიწყო, რა ხდებოდა, გაოცდებით. რა ინვესტიციაც მივიღეთ, უფრო მეტი საქართველოდან გავიდა. არცერთი პირველი ინვესტორი აქ, არ დარჩენილა. იმიტომ კი არა, რომ მას არასაინვესტიციო გარემო შეექმნა, არა! იგი სხვა მიზნით იყო აქ ჩამოსული. იყიდა იაფად, გაამსხვილა ადვილად და გაყიდა. ვიღაც ამბობდა: უცხოურ ინვესტიციაში ის კი არ უნდა დავინახოთ, რომ ვიღაცა ფულს დებს, ეს კულტურაც არისო, ჩვენ წარმოების კულტურას ვღებულობთო. უცხოური ინვესტიციის აკრძალვის მომხრე არ ვარ, მაგრამ უპირატესობა რომ მივანიჭოთ, სწორი არ იქნება. მავანი ამბობს: ბიუჯეტს ხომ უხდისო. რას უხდის? — მოგების გადასახადს არ გადაუხდის. უცხოური ინვესტორი თუ აქაური მუდმივი დაწესებულების სახით ჩამოყალიბდება, მასზე ის კანონი მოქმედებს, რაც გვაქვს. კონკრეტული ინვესტორი აქ ჩადებს ფულს, რათა დაიწყოს მუშაობა, მერე წარმოებას გააფართოვებს, მოგებას მიიღებს და რაღაც მომენტში უკან წაიღებს, თანაც აქ, თავის ხალხს ასაქმებს და ის შემოაქვს რაც სჭირდება. როცა ჩვენ იმპორტს ვზრდით, ბევრმა არ იცის ეს რას ნიშნავს, ჩვენ, ვმუშაობთ იაპონიაზე, ამერიკაზე, საფრანგეთზე, ანუ იმ ქვეყნებზე, საიდანაც ეს იმპორტი მოდის. ჩვენ მათ ქვეყნებს ვუწყობთ ხელს. როგორც იცით ვაჭრობის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი გავხდით. უნდა ვიყოთ კიდეც, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ორგანიზაციის გავლენის ქვეშ აღმოვჩნდეთ და ჩვენი არაფერი გავაკეთოთ. აუცილებლად უნდა შევცვალოთ იმპორტისა და ექსპორტის თანაფარდობა. თუ ეს არ შეიცვლება, ჩვენი ვალუტა არასოდეს არ იქნება მყარი და ა.შ. კარის გაღება იმპორტისათვის სულაც არ ნიშნავს იმას, რომ წინააღმდეგობა არ გაუწიოთ და ჩვენი არ შევქმნა თ. პირიქით, ისეთი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, რომ აქ შეიქმნას უფრო მეტი და ფასეული და მაშინ გვეშველება. თავის დროზე, აქ, უცხოური ინვესტიცია იყო წახალისებული. დღეს, ეს მიდგომა შეიცვალა, ადგილობრივთან გათანაბრდა, მაგრამ ჩვენ, მაინც უცხოურ ინვესტიციას გავიძახით. ვინმეს მართლა ჰგონია, რომ ეს უცხოური ინვესტიციაა და სხვა ვინმე მოდის? — არავინ დაიჯეროს, ეს ტყუილია. ეს არის აქ შექმნილი ფული, ოფშორში დარეზერვებული და იქედან ისევ აქ შემოსული. ამისგან უნდა გავთავისუფლდეთ.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲨᲕᲔᲚᲘᲫᲔ**
555 23 28 24

# რა წინასწარმეტყველებას უკავშირდება ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის გამოცხადება?

აშშ-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილების შემდეგ, იერუსალიმი ვაღიაროთ ისრაელის დედაქალაქად, ჩვენი ქვეყნის საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა შოთა შალელაშვილმა პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილს ოპერატიულად „მოუწოდა“ ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმი აღიაროს. პასუხად კი მიიღო „კარგად უნდა დავფიქრდეთ“ -ო, მაგრამ დიდიხანია ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების ნაცვლად „უფროსი ძმა“ ფიქრობს... საინტერესოა უმრავლესობის წევრი შალელიშვილი საკანონმდებლო ორგანოში რა დამსახურების გამო მოხვდა?ან, აქამდე არცერთი გადაწყვეტილება არ აწუხებდა არც აღელვებდა? შოთა შალელაშვილის უპასუხისმგებლო მიმართვას (თუ შეგნებულ პოვოკაციას) პრემიერისადმი, პასუხს და საზოგადოების გარკვეული ნაწილის მწვავე რეაქციას, აღმოსავლეთის პარტნიორობის ინსტიტუტის პრეზიდენტმა აბრაამ შმულევიჩმა სრულიად არაადექ-



ვატური განცხადებით უპასუხა და საქართველოს ღვარძლი და რისხვა დაატეხა. რას გვამადლის ეს პატივცემული გვამი და რატომ თვლის რომ საქართველო ისრაელთან ვალშია ან რატომ გვავალდებულებს მთელი მუსულმანური სამყაროს გადაკიდებას უცნობია.

ჩვენი ქვეყნის პოლიტიკოსები, რომლებიც ვერ აცნობიერებენ თუ რა პრობლემების წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა, რომ საქართველო არ არის ამერიკა, წინდაუხედავ განცხადებებს უნდა მოერიდონ! არ ჭირდება, იერუსალიმის დედაქალაქად გამოცხადებას პოლიტიკური ანალიზი. ანტიქრისტეს დასახვედრად ამზადებენ სოლომონის ტაძარს. ხოლო იერუსალიმი არა მარტო ისრაელის.. არამედ მთელი "ახალი" მსოფლიოს დედაქალაქად გამოცხადდება.. სადაც "იკურთხება" მსოფლიო "მმართველად" ანტიქრისტე. რაც დაწერილია წმინდა წერილებში, ისე ხდებოდა და მოხდება ყველაფერი ვფიქრობ, ხალხი ამას ვერ შეცვლის...მესამედ აშენებული სოლომონის ტაძრის მომდევნო სცენარზე არსებობს ათონელი ბერის წინასწარმეტყველებაც- თურქეთს დაიკავებს რუსეთი, თურქეთი კი გაქრება რუქიდან, იმიტომ, რომ მათი ერთი მესამედი გაქრისტიანდება. 1/3 დაიღუპება და 1/3 გაემართება მესოპოტამიისაკენ. შუა აღმოსავლეთი ომის სცენად იქცევა, რომელშიც რუსები მიიღებენ მონაწილეობას. ბევრი სისხლი დაიღვრება, ჩინელებიც კი გადმოლახავენ მდინარე ევფრატს, ეყოლებათ რა 200-მილიონიანი არმია და იერუსალიმამდე მივლენ. ამ მოვლენების მოახლოების ნიშანი იქნება ომარის მეჩეთის დანგრევა, რადგან მისი დანგრევა ნიშნავს სოლომონის ტაძრის აღდგენის დასაწყისს, რომელიც ზუსტად იმ ადგილზე იყო აშენებული. კონსტანტინოპოლში დიდი ომი მოხდება რუსებსა და ევროპელებს შორის და ბევრი სისხლი დაიღვრება. საბერძნეთი არ ითამაშებს პირველხარისხოვან როლს ამ ომში, მაგრამ მას კონსტანტინოპოლს მისცემენ, იმიტომ კი არა, რომ საბერძნეთს ეთაყვანებიან რუსები, არამედ იმიტომ, რომ არ მოიძებნება უკეთესი გამოსავალი და მოელაპარაკებიან ბერძნებს, მათზე დიდი ზეწოლა იქნება გარემოებათა მხრიდან. ბერძნული არმია ვერ მოასწრებს იქ მისვლას, რომ კონსტანტინოპოლი მას გადაეცემა. ებრაელებს ევროპელების მხარდაჭერა ექნებათ და იმდენად გაამაყდებიან, რომ შეეცდებიან ევროპის მართვას, მაშინ 1/3 ებრაელი გაქრისტიანდება. სერაფიმ როუზი, იერუსალიმის ტაძრის შესახებ რომელიც ორჯერ დაინგრა უკანასკნელად პირველი საუკუნის 70-ე წელს. წერდა, – აპოკალიფსის თანახმად იუდეველები მოახერხებენ ტაძრის მესამედ აგებას, რათა მასში აკურთხონ ანტიქრისტე, რომელიც თავს გამოაცხადებს მესიად. „არსებობს ძალზე მნიშვნელოვანი ნიში იერუსალიმის ტაძრის აღდგენის შესახებ. კაცობრიობის ისტორიაში პირველად სწორედ ახლა გახდა ეს შესაძლებელი. უწინდელ დროში მხოლოდ ერთხელ სცადეს მისი აღდგენა – IV საუკუნეში. ცოდნა ამის შესახებ ძალზე კარგ მაგალითს წარმოადგენს იმისა, თუ როგორ განანათლებს ადამიანს ე ისტორიის კითხვა. ამ მოვლენის შესახებ IV საუკუნის რამდენიმე წყაროს ნახვა შეიძლება: მას მოიხსენიებს წმიდა კირილე, აგრეთვე იმ დროის ზოგიერთი სხვა საეკლესიო მემატიანეც. იმპერატორმა იულიანე განდგომილმა, ანთებულმა სურვილით გაენადგურებინა ქრისტიანობა, გადაწყვიტა: რაკი ქრისტე წინასწარმეტყველებდა, რომ იერუსალიმის ტაძრისაგან ქვა ქვაზე არ დარჩებაო, ამიტომ, მოდი, მე აღვადგენ ტაძარს და ამით ცხადად დავამტკიცებ, რომ ქრისტე თვითმარქვია იყოო, – ხოლო რადგან ასეა, ამიტომ ჯერ-არს წარმართობა ავაღორძინოთო. ამგვარად, იულიანე განდგომილმა, ამ განზრახვით განგებ დააბრუნა ებრაელები იერუსალიმში, და მათაც იმპერატორის ნებართვით, ტაძრის მშენებლობა დაიწყეს. ერთი დღის განმავლობაში მათ რაღაც გააკეთეს, ხოლო როცა მეორე დილით მივიდნენ, ნახეს, რომ ყველა ქვა მიწაზე იყო გაბნეული. მათ ხელმეორედ სცადეს მშენებლობის დაწყება, მაგრამ მიწიდან ცეცხლოვანმა ბურთებმა იწყო ამოფრქვევა. ამის შესახებ ბევრი ისტორიკოსი მოწმობს. თანამედროვე, რაციონალურად მოაზროვნე ისტორიკოსები, რამდენადაც მათ არ ძალუძთ უგულებელჰყონ ძველი ტექსტების არსებობა და რაკი ხედავენ, რომ რაღაც ამის მსგავსი ნამდვილად მოხდა, შემდეგნაირად იწყებენ ამ მოვლენის ახსნას: „ისინი ალბათ ნავთობის საბადოს გადააწყდნენო", ანდა „მიწისქვეშა გაზის ამოფრქვევა იქნებოდაო". მაგრამ ცხადია, ღმერთმა ეს სასწაული იმისთვის აღასრულა, რომ იერუსალიმის ტაძრის მშენებლობისათვის შეეშალა ხელი, რადგან ჯერ არ მოსულიყო ამის დრო, – ტაძარი მხოლოდ ქვეყნის დასასრულის წინ უნდა აღდგეს. როგორც არ უნდა იყოს, მათი მცდელობანი, აეშენებინათ, აღედგინათ მესამე იერუსალიმის ტაძარი, ვერ დაგვირგვინდა წარმატებით, და ებრაელებმაც უარი თქვეს ამ საქმეზე. ამრიგად, ტაძრისაგან ქვა ქვაზე არ დარჩა. ასე აღსრულდა იულიანე განდგომილის დროს უფლის წინასწარმეტყველება ტაძრის შესახებ.მაგრამ ახლა, დაწყებული 1967 წლიდან, ის ადგილი, სადაც უწინ ტაძარი იდგა, უკვე ებრაელებს ეკუთვნით. და პირველად ხდება შესაძლებელი ტაძრის მშენებლობა. ხელისშემშლელია მხოლოდ ის, რომ იქ მუსლიმთა დიდი მეჩეთი დგას. თუკი მას დაანგრევენ, ალბათ, ო დაიწყება (უკანასკნელი ცნობებით, პალესტინაში გაჩაღებული ბ დაიწყო მას შემდეგ, რაც 2000 წლის ბოლოს ისრაელის პრე-




მიერი დემონსტრაციულად მივიდა იერუსალიმის ტაძრის მთაზე და სიმბოლურად ჩაუყარა საძირკველი მესამე ტაძრის აღდგენას! დამოუკიდებელი ებრაული სახელმწიფო წმიდა მიწაზე მხოლოდ 1948 წელს წარმოიქმნა. ანტიქრისტე სწორედ ებრაელებთან მოვა. თავიდან იგი ებრაელებთან მივა, ხოლო შემდეგ მათი მეშვეობით მთელს მსოფლიოსაც მოევლინება. და მხოლოდ მაშინ, როცა ეს ყოველივე აღესრულება, უშულოდ მეორედ მოსვლის წინ, ებრაელთა უმნიშვნელო რაოდენობა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოექცევა. ამიტომაც ეს ნიში ტაძრის შესახებ ძალზე მნიშვნელოვანია. როცა ჩვენ დავინახავთ, რომ იერუსალიმის ტაძარი შენდება, მაშინ გვეცოდინება, რომ ქვეყნის დასასრული მოახლოებულია, იმიტომ, რომ ჭეშმარიტად ეს არის ერთ-ერთი ნიში, სასწაული თავად დასასრულისა. ჯერჯერობით, რა თქმა უნდა, ტაძარი არ შენდება, მაგრამ ავრცელებენ ყოველგვარ ხმებს მასზედ, რომ ადგენენ გეგმებს, ამზადებენ ქვებს და ა.შ. ცხადია, რომ ებრაელები ემზადებიან ამისთვის...აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გასულ წელს გავრცელდა ინფორმაცია, რომ google-მ თავის რუქაზე სოლომონის ტაძარი უკვე ააშენა..." ტაძრის მთა ჩვენს ხელთაა." მის რუქაზე ანტიქრისტეს კურთხევის ტაძარი ზუსტად წელიწადია დგას ალ-აქსას მეჩეთის ადგილზე, ტაძარი რომელშიც გვირგვინი უნდა დაადგან ანტიქრისტეს. ვირტუალურ რეალობაში აშენებული ტაძარი, რომ ხვალ რეალობად იქცევა. „გუგლი" როგორც ცნობილია ახალი მსოფლიო მთავრობის ერთ-ერთი საკვანძო სტრუქტურაა და აპოკალიფსისის მოახლოებაც ამიტომ „გახარა" ...დამაფიქრებელია ზვიად გამსახურდიას მიერ თავის ერთ-ერთ ლექციაზე გაჟღერებული მსგავსება სოლომონისა და სვეტიცხოველის ტაძრებს შორის- „სვეტიცხოველი არის ტაძარი, რომელშიც ყველაზე უფრო ღრმად და ყოველმხრივედ არის არეკლილი საქართველოს სულიერი მისსია, ქართული სულიერება, ქართული ქრისტიანობა. თქვენ იცით, რომ ეს უჩვეულო ტაძარია. არც ერთ ქრისტიანულ ტაძარში, ყოველ შემთხვევაში მე ასე აგონია, არ არსებობს საკულტო სვეტი. სვეტი, უფრო სწორედ, ორი სვეტი არსებობდა იერუსალიმის ტაძარში, სოლომონის ტაძარში. ხოლო აქ ქრისტიანული ტაძარია აგებული სვეტთან დაკავშირებით. თავდაპირველი საფუძველი ამ ტაფრისა იყო სვეტი. მისი აგების ისტორია უკავშირდება სვეტის აღმართვის ისტორიას. ხოლო ეს სვეტი სიმბოლურად განასახიერებს ცხოვრების ხეს ისტორიულადაც ამ ადგილას იზრდებოდა კედარი, რომელიც არის ცხოვრების ხის სიმბოლო, რომელიც მოიჭრა და შემდეგ ეს მოჭრილი კედერი ანგელოზებმა წმინდა ნინოს ლოცვით აღმართეს და ამ ადგილას აშენდა პირველი ტაძარი, პირველი ეკლესია წმინდა ნინოსი, ხოლო შემდეგ უფრო გვიან აშენდა სვეტიცხოველი, რომელიც არის ალეგორიული ტაძარი, ისევე როგორც სოლომონის ტაძარი იყო ალეგორიული".



**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

## მერაბ შათირიშვილი:

# არაა გამორიცხული პატრიარქის თანამოსაყდრეს პროვოკაცია მოუწყონ...



*გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი*

**— ბატონო მერაბ, რამდენადაც ვიცით, თქვენ საეკლესიო წრეებთან დაახლოებული ბრძანდებით. რას იტყვით, რა კრიტერიუმით გამოარჩია პატრიარქმა თანამოსაყდრედ მეუფე შიო?**

— პირველ რიგში, აღვნიშნავ იმას, რომ მეუფე შიო არ მიეკუთვნება არც ერთ საეკლესიო დაჯგუფებას...



**— რას ამბობთ, საპატრიარქოში დაჯგუფებები და კლანებია? ვინ და რატომ შექმნა ეს დაჯგუფებები?**

— დიახ, ბატონო, არის კლანები. ახლა კონკრეტული პირების დასახელებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ვიტყვი იმას, რომ ეს კლანები ერთმანეთთან მკვეთრად არიან დაპირისპირებული, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, ერთიანდებიან და ხან პატრიარქს უტევენ, ხან მის რჩეულს. არაა გამორიცხული, მეუფე შიოს რაიმე მოუწყონ. ის რისკისა და საფრთხის წინაშე დგას.

ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მეუფე არის უპატიოსნესი ადამიანი.

**— თქვენ ამბობთ, რომ საპატრიარქოს მართავენ კლანები. თუ ასეა, უპატიოსნესი მეუფე როგორ აღზევდა?**

— აქ იმ ღვთიურმა ფორმულირებამ გაიმარჯვა, რომელიც გულისხმობს: უკანანი წინ აღმოჩნდებიანო. მეუფე შიო უპრეტენზიოდ, ჩრდილში მოღვაწეობდა, მაგრამ ჩრდილში დგომა არ ნიშნავს იმას, რომ უფალი ვერ გხედავს.

„ციანიდის საქმემ“ იმის პროვოცირება და ილუსტრირება მოახდინა, რაც სინამდვილეში ხდება ეკლესიაში.

უწმიდესისთვის მძიმედ წარმოსადგენია ის, რომ ვინმეს მისი ან რომელიმე საეკლესიო იერარქის მოწამვლა უნდოდა, მაგრამ უფრო მძიმე არის ის, რომ მავანი დამნაშავე, რომელიც იგივე მისი შვილია, საპატიმროში იმყოფება. მას ყველა უყვარს, არავის დასჯა არ უხარია. სამწუხაროდ, „ციანიდის საქმის“ გამომჟღავნებით ნათელი მოეფინა იმას, რომ საპატრიარქოში არიან ადამიანები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან პატრიარქის სიცოცხლეს, იბრძვიან კვერთხისთვის, პატრიარქობისთვის.

ჩემი აზრით, ამ ამბავმა უკარნახა უწმიდესს, თავის სიცოცხლეში დაესახელებინა თანამოსაყდრე და გადაერჩინა ქართული ეკლესია. ეს იშვიათი და მისასალმებელი პრეცედენტია.

მისი გადაწყვეტილება, ფაქტობრივად, უფლის მიერ ნაკარნახევია და ამას ვერც ვერავინ შეეწინააღმდეგება აშკარად, თუმცა წინააღმდეგობის სხვა ხერხი გამონახეს.

**— კერძოდ?**

— სინოდის წევრთა ერთი ჯგუფი გაემგზავრა ამერიკაში. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი სამღვდელო პირები, კერძოდ, ჩემდა გასაოცრად, მეუფე იაკობი (იაკობიშვილი), რომელიც ლგბტ საზოგადოების წინააღმდეგ გამოდიოდა, იმ მღვდელთმთავრებს ჩაუდგა სათავეში, რომლებიც თეთრ სახლში გაემგზავრნენ ამერიკელ პოლიტიკოსებთან შესახვედრად და სათათბიროდ. მოგეხსენებათ, ამერიკელ პოლიტიკოსთა უმრავლესობა მხარს უჭერს და ფინანსურად აძლიერებს არამართლმადიდებლურ იდეოლოგიებს, ლგბტ საზოგადოებებს.

ახლა მე ვსვამ კითხვას: კერძოდ, მეუფე იაკობი (იაკობიშვილი) დღესაც წინააღმდეგია ლგბტ საზოგადოების თუ აღარა?

ძალიან მაინტერესებს ის მეუფეები, რომლებმაც განაცხადეს, რომ აშშ-ი მართლმადიდებლობის გადამრჩენელია, ხოლო რუსეთი არის აგრესორიო, ადრეც ასე ფიქრობდნენ თუ ახლა შეიცვალეს პოზიცია?

ვეთანხმები, რუსეთი არის აგრესორი, მაგრამ მიჩნდება ეჭვი, რომ ამერიკაში ნამყოფი მეუფეები ერთსქესიანთა ქორწინების წინააღმდეგ აღარ ან ვეღარ წავლენ.

**— ოპონენტები გვეტყვიან, რომ ძალიან რადიკალურად ვმსჯელობთ და ამერიკა მართლმადიდებლობის წინააღმდეგი არ არის.**

— ამერიკა მართლმადიდებელი ქვეყანა არაა, ჩემო კარგო, ხოლო ეს ვიზიტი აშშ-ში კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ როგორ აფუთფუთდა, ამჯერად, მეორედ საპატრიარქო. მეუფე შიოს დასახელება „ციანიდის საქმის“ შემდეგ მეორე მაპროვოცირებელი ფაქტორი იყო. ამას ღიად ვეღარ შეეწინააღმდეგნენ პატრიარქობის მსურველთა ჯგუფები და ამ პოლიტიკური ნაბიჯით გამოხატეს წინააღმდეგობა. ამ ნაბიჯით უთხრეს ხელისუფლებას, ეკლესიაში ჩვენ ვართ პროდასავლური პოლიტიკის მხარდამჭერები და იქნებ ჩვენს შორის აარჩიოთ ვინმე პატრიარქობის ტახტისთვისო.

**— კი, მაგრამ, პატრიარქს ხელისუფლება ირჩევს?**

— ყველას გვახსოვს, ზოგ მეუფეს თავთან პრეზიდენტის ფოტო ეკიდა, ზოგი დღემდე ძველზე ლოცულობს, ზოგი ახლის მეხოტბეა. მგონი, ხვდებით, რას ნიშნავს ეს. ყველას სურს პრივილეგია და კომპენსაციები „ძლიერთა ამა ქვეყნისათაგან“. ამას ჰქვია სახელად ანგარება. რაც ცოდვაა მართლმადიდებლური რწმენის მიხედვით.

მეუფე შიოს თანამოსაყდრედ გამოცხდებამ თვალწინ წამომიყენ ლეო ტაქსილის ვატიკანისებური საშიში ტენდენციები ტახტისთვის ბრძოლაში...

90-იანი წლებიდან, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა და თავისუფლება მოიპოვა, ეკლესია გაივსო მკვლელებით, ნარკომანებით, ყოფილი „მხედრიონელებით“ და გვარდიელებით.

**— ბატონო მერაბ, როგორ აღწევდნენ ეს ადამიანები ეკლესიის წიაღში? საპატრიარქოს და პატრიარქის გარეშე ხდებოდნენ ისინი საეკლესიო პირები და შემდეგ უმაღლესი იერარქები?**

— როდესაც სახელმწიფო ვერ არეგულირებს შავბნელი იდეოლოგიის ადამიანების შესვლას ეკლესიაში, ვაწყდებით ასეთ პრობლემებს.

**— სახელმწიფო რა შუაშია?**

— სახელმწიფო ყველაფერს განაგებს.

მაგრამ თქვენ გინდათ, ალბათ, უწმიდესის პასუხისმგებლობა გამოკვეთოთ. მე გეტყვით, უწმიდესი თავისუფლების სახელით მოსულ ამ ტალღას ვერ შეაჩერებდა, დიახ, რამდენიმეჯერ ნასამართლევი ხალხი მოხვდა ეკლესიაში...

კი, ბატონო, სავლე პავლედ იქცა, მაგრამ წარსულისგან მოწყვეტა უნდა დაგვანახონ. ყველამ უნდა დაინახოს, რომ ფერი იცვალეს, მაგრამ მე ვხედავ, რომ კვლავ სავლეებითაა სავსე ეკლესია და ფერის ცვალება მათ არც კი შეხებიათ.

როგორც კი არასამთავრობოებმა დაიწყეს ყაყანი, მეუფე შიოს რუსეთში აქვს საეკლესიო განათლება მიღებულიო, მაშინვე წავიდნენ მეუფე იაკობის მეთაურობით მღვდელმთავრები ამერიკაში — ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი არ შეიძლება იყოს რუსული განათლების მქონე კაცი, იმ ქვეყანაში, რომელსაც კონსტიტუციაში ევროატლანტიკური კურსის ერთგულება უწერიაო და უგალობეს თეთრ სახლში იმ იდეოლოგიას, რომელსაც ტაბურეტკებით ებრძოდნენ არცთუ ისე დიდი ხნის წინათ.

ხედავთ, როგორ ყველაფერზე მიდიან?

ახლა თანდათან ვრწმუნდები, რომ „ციანიდის საქმეში“ ბევრი რეალობაა. უნდა ვთქვა, რომ ამერიკული ვოიაჟი „ციანიდის საქმეზე“ ნაკლები არაფრით არაა. გამომჟღავნდა ეს ხალხი — დასავლური გარყვნილი იდეოლოგიის ტაშის დამკვრელები გვყოლია ეკლესიაში და არ გვცოდნია.

ამერიკა მართლმადიდებლობის გადამრჩენელიაო.

როგორ არის მართლმადიდებლობის გადამრჩენელი, როცა ქრისტიანული სარწმუნოების პირდაპირი მტერი სექტები აშშ-ში იშვა და იქიდან ფინანსდება?

ეს ფარისეველი სავლეები ისე არიან ვატიკანიზმით დაავადებული, რომ ყველაფერზე მიდიან.

ქართულ ეკლესიას დღეს განწმენდის აუცილებლობა უდგას. შიგნიდან უნდა მოხდეს ეს განწმენდა და საზოგადოებამაც უნდა ამოიღოს ხმა.

სიმართლის თქმა უნდა ვისწავლოთ, არ უნდა შეგვეშინოს ამ სიმართლის ხმამაღლა გამომჟღავნების. ვიდრე ხმამაღლა მხილებას არ დავიწყებთ, არც საზოგადოებაში დაიწყება გაჯანსაღება, არც ეკლესიაში და ჩვენს ქვეყანასაც არ ეშველება არაფერი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



როდესაც ძველი წელთაღრიცხვის მიწურულს „ძველი ღმერთები“ გავიდნენ ასპარეზიდან და ჯერ არც ქრისტე იყო მოვლენილი, კაცობრიობას ერთ მომენტში დაუდგა უღმერთობის ჟამი... ჩამოდგა „უმთვარო ღამეთა“ სინდრომი და ადამიანი უდაბურ სამყაროში სრულიად მარტო აღმოჩნდა...

ალბათ ასეთივე ჟამი იდგა ნოეს დროსაც, როდესაც უფალმა კაცობრიობის დასჯა გადაწყვიტა, მათივე ურწმუნოების მიზეზით, ხოლო „ნოე ახლოს იყო ღმერთთან“ და მას მისცა ცივილიზაციის და სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობა?! – „უფალს შეუძლია ადამიანს ენდოს, თუ მისი სიწმიდე ამის საშუალებას აძლევს!“

იგივე უნდა ითქვას ჩვენს დღევანდელ დროზე: როდესაც დასრულდა „ანდრეზული დრო“ და ხევისბერთა ეპოქა, ერის საკრალური სივრციდან გავიდნენ ხევისბერნი, და თემ-სოფლის „კითხული კაცნი“... აგრეთვე, ინტელექტუალური სივრციდან განდევნეს სწავლულნი და მწიგნობარნი, ამდენად ერი ლიბერასტთა და მედროვე ფსევდო-პატრიოტთა ხელში აღმოჩნდა! – ქვეყანა მოიცვა სექტანტთა და ანტიქრისტეთა ანარქიამ...

ქვეყანას არ სჭირდება ლიდერი: „ბრძენი მოძღვარი“, რომელიც წინ წარუძღვება ერს და წარმართავს მას წაღმართი გზით... პოლიტიკოსები ებრძვიან გმირს და კაცს, რომელიც „სოფლისა თავსა ესახლა“ და თვალ-ყურს ადევნებდა მის ბედისწერას...

მათ არც ბრძენი პატრიარქი უნდა და არც ერისკაცი...

ეს მომაკვდინებელი იდეა მიმართულია „გონიერი გულის“ და გონების წინააღმდეგ, რომ ამ განურჩეველმა მასამ ითარეშოს და, მოიჭამოს საკუთარი თავი და ქვეყანაც... და უპატრონო ერი აღმოჩნდეს სხვის ხელში!..

●

ვიღაცას ძალიან მოუნდა და დასჭირდა, ამ საუკუნეში ქართველი ერის გაყვანა საკუთარი ქვეყნიდან (მიწიდან), მამა-პაპეული და უფლისეული საზღვრიდან. ეს ტენდენცია მკვეთრად და აშკარად გამოიხატა საზღვრების გახსნაში და ერის თითქოს საკუთარი ნებით, მაგრამ სინამდვილეში იძულებით, მიზანმიმართულ დეპორტაციაში.

●

პატრიარქს არაფრის ეშინია, გარდა საკუთარი ხალხის სიბეჩავის და უმწეობის, მისი ურწმუნობაში ჩავარდნის, რასაც თან სდევს ზნეობრივი კრიზისი და „გამოხატვის თავისუფლება...“

„გამოხატვის თავისუფლება!“ – ეს მასონური, „ზნეობრივი შიდსი“, რომელიც არაფერს კრძალავს – „ქენი რაც გინდა და როგორც გინდა... – გინდ ჩაიცვი, გინდა შიშველმა იარე და გამოეყუდე ტელევიზიის ეკრანზე!

„გამოხატვის თავისუფლება!!“ – ახალი მასონურ-იეღოვურ-ლიბერასტული დივერსია ერის ზნეობრივ სივრცეზე – მეტად სახიფათო ტენდენცია ჩვენი ერისთვის: თავგასულობა-მრუშობა, მკვლელობა, სქესთა ცვლა, ნუდიზმი, ფემინიზმი... ეკლესიის და ისტორიულ ფასეულობათა შეურაცხყოფა, ანუ მთლიანად გასვლა სამოქალაქო და საეკლესიო მორალის სივრციდან!..

●

ამ უმძიმეს ვითარებას, უცნობი შინაგანი ენერგიებით უპირისპირდება პატრიარქი, აქარვებს და ანელებს ერის სიდუხჭირეს, ასწორებს ხელისუფალთა პოლიტიკურ შეცდომებს, აწყნარებს ხალხის და პარტიული კლანების ვნებათა ღელვებს, აჩერებს სისხლისღვრებს და ქვეყნის ჩათრევას შიდა საეკლესიო და კლანურ დაპირისპირებებში, ამშვიდებს საზოგადოებას...



# პატრიარქის დრო



პატრიარქი საკუთარ თავზე იღებს და ინაწილებს ერის ყოველგვარ ცოდვას და განსაცდელს... მას ისევე სდევნიან და უცხადებენ ტერორს, როგორც ილია მართალს თავის დროზე(!) – წამლავენ ციანიდით, თუ უტიფარი ცილის წამებით...

ის გვიცავს ჩვენ! და ჩვენ ვერ ვიცავთ ჩვენს პატრიარქს: ვპატიობთ ათასნაირ გადამთიელს და სატანისტს მისდამი უტიფრობას!

...საბედნიეროდ, არ აღმოჩნდა ადვილი მასთან ბრძოლა (მისი ამოცნობა) შინაური თუ გარე მტრებისთვის: – ორმოც წელზე მეტი მიჰყავდა (და მიჰყავს) მას, უდაბურ დროსა და სივრცეში, ერი და ეკლესია გადარჩენისკენ... ინტუიტური, გენიალური უნარით და მან ეს შეძლო!!! მან შეძლო განსაცდელიდან ერის გაყვანა – ვითარცა უდაბნოდან – მოსემ...

ერი, რომელიც იწვა „პროკრუსტეს“ სარეცელზე და, ცალცალკე აჭრიდნენ სხეულის ნაწილებს და წამლავდნენ ფსიქოტრონული შხამით... პატრიარქმა შეძლო მისი წამოყენება! – კიდევ ერთი, კვირიასებრი პიროვნების გამოხმობით და შემწეობით, რომელმაც თავისი ქველობით XXI საუკუნის „სვეტიცხოველი“ დაუდგა საქართველოს. დიახ, ეს პიროვნება ბიძინა ივანიშვილი გახლავთ!..

●

როცა სული ინგრევა, ინგრევა მატერიალური სივრცეც!

პატრიარქმა მისცა ერს სულიერი და მატერიალური საზრდო, რამდენჯერ დააპურა მშიერი მრევლი და დაადო წყლულზე სალბუნი...

ხევსურეთის მონახულების შემდეგ უწმიდესმა იქ ურიცხვი სურსათ-სანოვაგე და სამოსელი შეგზავნა სამი „ტრაილერით“. მსგავსი ნობათი აქამომდე აქ არავის ენახა!.. – „ძვლებზე დაგვეწერება თქვენი მადლი და სიკეთეო!“ – შემოუთვალა პატრიარქს უხუცესმა შატილიონმა კაცმა.

პატრიარქის „ძვლებზე დაწერილი“ ლოცვანი და სინანული დიდხანს შერჩება ერის მეხსიერებას– სანუგეშოდ...

●

ჩემი სტუდენტობის დროს, 70-იან წლებში, სულ სამად-სამი ტაძარი იყო მოქმედი, ილია მეორის მეოხებით აღდგა 41 ეპარქია და შეიქმნა სრულიად ახალი ღვთაებრივი სახელმწიფო სახელმწიფოში.

ეს არის შეუძლებლის შესაძლებლობა და სასწაული უწმიდესის სინერგიის გამოვლენით.

მან შექმნა ბიბლიური, ქრისტიანული ოაზისი, სადაც ჩაისახა ერის გადარჩენის და აღორძინების თესლი... და ვფიქრობ, მართლაც გადარჩა იგი!

ახლა 41-მა მთავარეპისკოპოსმა და მათმა მრევლმა, ერთად რომ ილოცონ, ერთად რომ დაანთონ სანთლები და დადგნენ საზღვრების ირგვლივ ქართლის მთებზე ვერავინ შეძლებს მის გადმოლახვას.

– ჩვენმა პატრიარქმა ზარბაზნების ნაცვლად მონასტრები ჩადგა საზღვრების გასწვრივ და, ქვეყნის გულშიც არაერთი ტაძარი აღმოაცენა ნანგრევებიდან, ნახანძრალი ქვეყანა აქცია სულ სხვა ოაზისად, სადაც „ბიბლიური პატრიარქის“ მოვლილი უამრავი სასწაული ხილი ჰყვავის და მწიფობს ჩვენთვის...

სამწუხაროდ, ჩვენ კარგად ვერ ვცნობთ ამ ბაღის სიდიადეს!

●

მისი უწმიდესობის საკრალური, სიბრძნით გაჯერებული შეგონებანი მეტად მნიშვნელოვანია ერისთვის, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური დეპრესიის დროს.

მე მახსოვს „სათამაშო თოჯინების კეთების“ დავალება, მისი უწმიდესობის მიერ, მრევლისთვის. ბევრმა მართლაც დაიწყო თოჯინების კეთება: ამით ისინი აღმოჩნდნენ ახალ, „ვირტუალურ სამყაროში“- თითქოს ბავშვობაში... ეს „მწარე დროსთან“ და რეალობასთან გარიდების „პარადიგმული ცდა“ იყო...

პატრიარქისეული „დიდების გაბავშვების“ ეს იდეა – პირდაპირ გენიალურია: დიდები ვერასოდეს დახატავენ იმას, რასაც ბავშვები ხატავენ. დიდები ვერ ამჩნევენ ყვავილებს და პეპლებს, გნებავთ, მზის ამოსვლას...

პატრიარქს სურს დაღლილი, დაღვრემილი, კომპიუტერში ჩაწნეხილი ადამიანების წამიერად, ბავშვობის სუფთა, ბრჭყვიალა სამყაროში შებრუნება...

.....

ნუ დაგვავიწყდება, პატრიარქის კურთხევით (და მისივე მონაწილეობით) დარგული, ადამიანთა „სიყვარულის“, თუ ტკივილის სახსოვარი „გონიერი ხეები“, რომლებიც მომავალ თაობებს შეუნახავენ ამ დროთა ხსოვნას: ისევე, როგორც ღვიის და მაყვლის ბუჩქები, ხმელი წიფლის და კედრის ხეები რომ ინახავენ დროთა ინფორმაციებს! და, ზოგჯერ, უფლის სიტყვასაც აუწყებენ ადამიანთა მოდგმას?!...

– მეტად საგულისხმოა პატრიარქისმიერი: – აისბერგისთვის შემოვლის, „კედლისთვის“ (რომელიც ყოველთვის წინ გიდგას) თავით არდაჯახების შეგონება, თუ თევზის დაჭერის ბრძნული სწავლებანი...

– მნიშვნელოვანია ერისთვის გვართა კავშირების დაარსება, აგრეთვე შვიდგზის ლოცვების, მესამე ბავშვის ნათლობის დამკვიდრება უწმიდესის ნებით, ერის დემოგრაფიული გაჯანსაღებისთვის ღვთიური ლიტურგიებია, რამაც უამრავი ახალგაზრდა მიიყვანა ეკლესიებში...

– მიწა და მიწასთან მიახლოება,

●

მე, ჩემს ერთ წერილში, საგანგებოდ ვწერდი სიბრძნე დაკარგული ერის ტრაგედიაზე – ვაჟა-ფშაველას „გველის მჭამელში“ (და მითშიც) ხოგაის მინდია კარგავს სიბრძნეს და იღუპება, მასთან ერთად იღუპება თემიც.

მინდია კარგავს სიბრძნეს, რომელიც აუცილებელი იყო სამშობლოს (თემის, საყმოს) დაცვისთვის... ჩვენს რეალობაშიც ეს დრამატული ვითარება მეორდება: დგება სიბრძნედაკარგული, უგმირო ერის, ბედისწერული დრო...

ეს დრო კაცობრიობასაც დაუდგა, რადგანაც იგი გადის უფლის ხელდასხმული სივრციდან (უფლისმიერი წესრიგიდან) და, სიბრძნედაკარგული შედის „სატანის ზოდიაქოში...“

სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში მკვიდრდება მავნებლური – „ლიბერასტულ-ანტი ეროვნული“ ტენდენცია, თითქოს ორ მილიონზე მეტი ქართველი უკვე განდევნილია სამშობლოდან. მათ უკან არავინ არ აბრუნებს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ერის სრულ უმცირესობაში გადაყვანის პროცესი რამდენიმე წელში დასრულდება ამაზე დუმს ხელისუფლება.

სწორედ ამ „უჟამო ჟამს“ ერს მოევლინა უბრძენესი პატრიარქი-სასულიერო და საერო სივრცის შემკვრელი ენიგმური მოძღვარი – ილია II – ნათელმხილველი და ბედისწერის წინასწარ მცნობელი.

„– არ შეგეშინდეთ, ღმერთი ჩვენთან არს!!!“ – გვეუბნება პატრიარქი... მაგრამ ჩვენი მასონურ-ლიბერასტული საზოგადოება ებრძვის ღმერთს და ქვეყანას (ხალხს), ანგრევს ერის ეთნო-ფსიქოლოგიური დაცვის კარმულ გარსს... მის ხვთიურ აურას, შლის ტრადიციული ცოდნის სივრცეს...

სკოლიდან დევნიან სახარებას და მოძღვარს!..

წინაპრებთან სულიერი კავშირი, ისტორიულ თემთა და პროვინციათა აღდგენა – აი, პატრიარქის საფიქრალ თემათა კიდევ ერთი ნუსხა...

●

„ღმერთი, სამშობლო, ადამიანი!“ – უწმიდესს ეკუთვნის ეს საოცარი ღვთიური ფრაზა – ილია მართლისეული სენტენციის ბრწყინვალე პერიფრაზი, რომელმაც უფრო მეტი საკრალურ-საკრამენტული სიღრმე მისცა ამ მცნებას.

მართლაც ღმერთია ყველაფერი: „ანი და ჰოე“, ენა და სამშობლო! ღმერთის მოციქულია ადამიანი მიწაზე, რომელიც მას სამშობლოდ ექცა გენეტიკური კოდის მიხედვით, მაგრამ არსებობს „უსამშობლო“ კოსმოპოლიტთა მოდგმაც, რომელთაც არ უყვართ არც სამშობლო და არც პატრიარქი...

ასეთი მისია მიანიჭა უფალმა, რომ ქართველი ერი ერთხელ კიდევ გადარჩეს ამ საუკუნეშიც...

ამის დასტურია პატრიარქის ბოლოდროინდელი არაორდინარული გადაწყვეტილება... თანამესაყდრის დასახელება და მეუფე შიოს ამორჩევა!

ამ ურთულეს ვითარებაში პატრიარქმა გააკეთა, ალბათ, ერთადერთი და გენიალური სვლა, რომელიც სულ სხვა სიბრტყეზე გადაიყვანს მოვლენებს და ერს და ეკლესიას ერთხელ კიდევ ააცდენს წყალქვეშა რიფების კატასტროფას.

●

...ახლა, როდესაც პატრიარქსაც უდგას „თავისი შემოდგომა“ და მწიფს „მისი ბაღი“ ჩვენთვის,



●

როდესაც ჩვენმა პატრიარქმა ბრძანა, რომ მისი ცხოვრება იყო „მზიანი ღამე“, ეს ერთდროულად მინიშნება იყო უჩვეულოდ მძიმე დროზე და მისი გათენების შესაძლებლობაზეც!

ერს, ქვეყანას, როდესაც ურმერთობის აპოკალიფსური ჟამი უდგას, ზოგჯერ, უფლისავე ნებით, გამოუჩნდებიან ბრწყინვალე წმინდანნი (ნოე, მოსე...ქრისტეს გენიოსი მოციქულნი), გაუნათებენ ცხოვრების გზას და „მზიანი ღამის“ ეფექტს ქმნიან.

ჩვენს პატრიარქსაც სწორედ ჩვენ უნდა შევიდეთ პატრიარქის ბაღში და მოვისთვლათ ის „ხილი“, რომელიც მან მოგვცა ჩვენ სულის საზრდოდ... კიდევ ერთხელ რუდუნებით ვიხმიოთ ეს ნუგბარი და შევიტკბოთ იგი...

მე ამ „რამექნას ციხის“ საიდუმლო კარის გადმოსახედიდან, რომელიც პატრიარქის ლოცვით გაიხსნა, ერთხელ კიდევ მადლიერებით და მოკრძალებით მოვიკითხავ მის უწმიდესობას დაბადების 85-ე და აღსაყდრების მე-40-ე წლისთავზე, სიყვარულით მოვეფერები და ამ „ბოლო თქმით“ გავასრულებ წერილს:

**თქვენო უწმიდესობავ, ძვირფასო პატრიარქო!**

ქართველი ერის ისტორიის ყველაზე უმძიმეს დროში მობრძანდით თქვენ „მზიანი ღამის ეტრატით“ და მზებუდობის ღამეებში მოუვლინეთ საქართველოს ღვთიური ნათება.

დიდი, შხაპუნა წვიმა რომ მოვა უდაბნოში – ჯერ მდინარეებს აადიდებს და მერე ბალახსაც ამოიყვანს ეგრეთვე თქვენ, თქვენი ლოცვებით აღმოაცენეთ რწმენის მდელოები ქართველთა „სულის უდაბნოში“, შექმენით იმედის ოაზისები! – გააცოცხლეთ ყოველივე სულთან კავშირში მყოფელი: მუსიკა, პოეზია, მხატვრობა, ხალხური ორნამენტი...

თქვენ, თვითონ ხატმწერმა და შემოქმედმა, საგალობლების შემქმნელმა, აკურთხეთ თქვენი მადლით, ქართველი კაცის ღვთიური ნიჭი, დაიცავით და იხსენით იგი ეშმაკის ხელისაგან.

თქვენ აკურთხეთ მიწა და მამული, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ დასაბამითგან დღემდე (!) და აღამაღლეთ მუნ „ტაძართა სიმფონია“ და სრულიად ახალი რეალობა შექმენით.

თქვენ შეაღწიეთ უძველეს (საკრალურ) ისტორიულ თემთა სიღრმეში და შატილში პირველ ტაძარს ჩაუყარეთ საფუძველი. იქ, სადაც, არცა რომელი პატრიარქი და ეპისკოპოსი არ შესულა, არცა რომელთამე საუკუნეთა წიაღ!-

და თქვენ მოჰფინეთ, ქრისტესმიერი, დიდი ენერგეტიკული ნათება ქალდეურ–იბერიულ ქალაქთა მდუმარე ნაშთებს, რომლებმაც XXI საუკუნემდე მოიტანეს უძველეს დროთა სუნთქვა.

ვერავინ იტყვის იმას, რაც არ თქმულა მზის ქვეშეთში: თქვენი აქ ყოფნის სიხარულს ვულოცავთ ქართველ ხალხს – უფლის ამ უჩვეულო ჯილდოს – ხთონური მტრების გარემოცვაში, სულიერი და ფიზიკური დეპრესიის ჟამს, „სიმურთა“ დენასა და ხორშაკთა ქროლვაში!

თქვენ 40 წელი გედოთ ხელი სარეცელზე მწოლარე ერის პულსზე და შეძელით მისი წამოყენება!

თქვენივე კურთხევით და ლოცვით, – თითქოს არსაიდან მოვიდა კაცი, მადლცხებული, უშიში და გონიერი, ვითარცა კვირია და, ვგონებთ, რომ იგიც თქვენთან ერთად აღასრულებს უფლის ნებას და ერის ოცნებას!

მადლობა უფალს, უწმიდესო, თქვენი მოვლინებისთვის და აქ ყოფნისთვის, ამ უჟამო ჟამს. ღმერთმა მოგანიჭოთ ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

**კობა \იაკობ-აბა\ არაბული**
**მწერალი- ეთნოლოგი**
დეკემბერი, 2017 წელი



# ცხრა წლის განმავლობაში ქვეყანას ნაცებთან ერთად „ნაციონალი“ უცხოპლანეტელები მართავდნენ?

## მეხსიერებადაკარგულები

ამას წინათ მიხეილ სააკაშვილის მთავრობის ყოფილმა მინისტრმა გამოაცხადა, მეგის ქარდავას კი ვიცნობ, მაგრამ ვინმეს თუ აწამებდა, არასდროს გამიგონია, არც სამეგრელოში არსებული სამალავების ვიცი რამე, არც კასტილიანი გამაუპატიურებლის შესახებ მსმენია და სერგო თეთრაძე, წამებით თუ მოკლეს, ეგეც ახლა გავიგე პირველადო. ეს კაცი ადრე იმასაც ამბობდა, არ მახსოვს, სააკაშვილი ოდესმე მსტუმრობდა თუ არა სახლში და, საერთოდ, არც ის ვიცი, ციხეში რისთვის ვზივარო.

კაცი ღირსეულად თუ აღზევდება, დაცემაც ღირსეულად უნ-



არავისთვის აუფრენიათ — შრომობდნენ, თხილის გულს იყოფდნენ და ლუკმად იმას ჯერდებოდნენ, ავსებდნენ ბიუჯეტს, აშენებდნენ, ეფერებოდნენ ხალხს, ხოლო ქვეყანას უცხოპლანეტელები მართავდნენ. ისინი კლავდნენ, აწამებდნენ, ისინი ყიდდნენ მიცვალებულების



და შეეძლოს. მაგრამ სად აქვთ ნაცებს ღირსება. ვირთხულად აღზევდნენ და მათი დაცემაც ამაზრზენია.

როგორც ჩანს, ნაცების ყოფილ მინისტრსაც ამნეზია დამართია ციხეში. ვერ გაიხსენა ის „საწყალი“ ყველასაგან უარყოფილი და „დავიწყებული“ მეგისა ქარდავა, თავის დროზე, მიშა სააკაშვილმა ორჯერ საკუთარი ხელით რომ დააჯილდოვა ღირსების ორდენით და უკრაინელებმა ივანო-ფრანკოვსკის

ორგანოებს, ეს უცხოპლანეტელები თხრიდნენ მიწისქვეშა ბუნკერებს და იღებდნენ წამების და გაუპატიურების კადრებს და აკონსერვებდნენ (ეტყობა, სხვა პლანეტაზე წაღება უნდოდათ), ისინი აცხადებდნენ ნულოვან ტოლერანტობას, ისინი აყაჩაღებდნენ ბიზნესმენებს და ართმევდნენ ქონებას ხალხს, მათ მოკლეს ვერაგულად პატარკაციშვილი, მათ შეიწირეს ნაციონალების თანამოძმე და თანაგუნდელი ზურაბ ჟვანია, უცხოპ-



ციხიდან ახლახან პირდაპირ საავადმყოფოში რომ გადაიყვანეს, დაჭერა ვერ აუტანია თავისუფლებისმოყვარე ბიჭს, გული გახდომია, თურმე, ცუდად.

რაც შეეხება მიშიკოს, მას ისედაც ჰქონდა მეხსიერების დაქვეითება — როცა რაიმე სჭირდებოდა, ახსოვდა, როცა არა — არა.

მოკლედ, საქმეში ჩაუხედავმა რომ უსმინოს ამათ, იფიქრებს: ეს ნაცები ანგელოზები ყოფილან, ქართველი ხალხია თურმე ცილისმწამებლები, აბრალებდნენ პატიოსან ბიჭებს რაღაც-რაღაცებს, თორემ ამათ 9 წელიწადი ბუზი

ლანეტელებმა ესროლეს გურამ შარაძეს, მათ უბოძეს ქართული პასპორტები ჩინელებს, თურქებსა და ინდუსებს, მათ დაანგრიეს განათლების, ჯანდაცვის სისტემა და მეცნიერებათა აკადემია და ა. შ. და ა.შ.

ამის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს, მიშა სააკაშვილმა ის რომ თქვას, სააკაშვილი კი არ ვარ, თავად ნაპოლეონი ვარ, ბონაპარტე, ელბადან გამოვიქეციო, ესეც არ იქნება გასაკვირი.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ძლიერი რეგიონები ძლიერი



ფოთი

### ცნობილი ამერიკელი ასტრონავტი ფოთში

ფოთს აშშ-ის საზღვაო ძალების კაპიტანი და ნასას გამოჩენილი ასტრონავტი ჰაიდი ფაიფერი ეწვია. მეექვსე საჯარო სკოლის ეზოში სტუმარმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ-ამერიკულ ბაღს, სადაც ნაძვის ხე დარგო. სკოლის მოსწავლეებმა სტუმარს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. ჰაიდი ფაიფერმა უფროსკლასელებს უამბო თავის ცხოვრებასა და ნასას ექსპედიციაში მიღებულ გამოცდილებაზე. ასტრონავტი ხომალდ „შატლით“ კოსმოსურ სადგურზე ორჯერ გაფრინდა და ეკიპაჟთან ერთად ტექნიკური სამუშაოები შეასრულა. მან კოსმოსში სულ 27 დღე დაჰყო.

„როცა დედამიწას გასცდები, ხვდები წყვდიადში. სწორედ მაშინ აცნობიერებ, თუ რა ძვირფასია ჩვენი პლანეტა, რომელსაც ძალიან უნდა გავუფრთხილდეთ. არ არის გალაქტიკაში სხვა ადგილი, სადაც ადამიანი შეძლებდა ცხოვრებას“, – აღნიშნა სტუმარმა. ამერიკელი ასტრონავტი იმედოვნებს, რომ მისი ნაამბობი ახალგაზრდა თაობისთვის იქცევა შთაგონების წყაროდ ახალი აღმოჩენებისთვის.

გამოჩენილ ასტრონავტს ფოთის მუნიციპალიტეტის სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადაეცა.

ჰაიდი ფაიფერის ფოთში სტუმრობა ამერიკის საელჩოს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიანი კამპანიის ფარგლებში დაიგეგმა.

### ხარაგაული ზამთარს მომზადებული შეხვდა

ხარაგაულის მერმა ნიკოლოზ თოფურიძემ ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან გამართულ თათბირზე ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით სოფლებში გასატარებელ ღონისძიებებსა და ამინდის გაუარესების შემთხვევაში მისაღებ ზომებზე ისაუბრა.

„მოსახლეობასთან მუდმივი კონტაქტი გქონდეთ. წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი, რომ უხვი ნალექის შემთხვევაში მოსახლეობისა და ტრანსპორტის გადაადგილების პრობლემები არ შეგვექმნას“, – მიმართა მუნიციპალიტეტის მერმა წარმომადგენლებს.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები სოფლებში ხარისხიანად სრულდება. ხარაგაულის მერმა წარმომადგენლებისგან მოისმინა თუ რა პრობლემებია ამ დროისთვის სოფლებში და შესაბამის სამსახურებთან მათი მოგვარების გზებზე იმსჯელა.

### წყალტუბო – საწურბლიას მღვიმეში სპელეოთერაპიის ცენტრი ამოქმედდება

წყალტუბოში, საწურბლიას მღვიმეში სპელეოთერაპიის ცენტრის მშენებლობა 3 თვის წინ დაიწყო და 2018 წლის იანვარში დასრულდება, სტუმრების მიღება კი გაზაფხულიდან იგეგმება. აქ მკურნალობა შეეძლებათ ასთმური და ბრონქული შეტევების მქონე პაციენტებს. პროექტს გარემოს და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო ახორციელებს.

საწურბლიას მღვიმე და მისი უნიკალური მიკროკლიმატი დაცული ტერიტორიების სააგენტოს სპეციალისტებმა და ჩეხეთის მღვიმეების სამსახურმა შეისწავლეს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მას აქვს სამკურნალო ეფექტი. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მღვიმის კეთილმოწყობის სამუშაოები. სპელეოთერაპიის ცენტრში განთავსდება სხვა თანამდევი ინფრასტრუქტურაც.

ცენტრის მშენებლობა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საპროექტო ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 647 777 ლარს.

### სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მხარდაჭერა რაჭაში

ფონდ „აფხაზინტერკონტის“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე პროექტის – „სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის მხარდაჭერა რაჭაში“ – ფარგლებში გადამზადებულ მეფუტკრეებს სერტიფიკატები გადაეცათ.

პროექტი ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით.

პროექტის მიზანია ფერმერთა უშუალო საჭიროებებზე მორგებული მიდგომა, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და ამ სექტორის მდიდარი შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას საქართველოს ეკონომიკური წინსვლისთვის.

მეწარმეებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, სხვადასხვა საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა, კონფერენციების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების გამართვა ადგილობრივ მეწარმეებს მისცემს საშუალებას, პოპულარიზაცია გაუწიონ პროდუქციას და თავიანთი ნაწარმი შესთავაზონ ფართო საზოგადოებას. ეს ყველაფერი კი ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის კიდევ უფრო განვითარებას.

### ზუგდიდი – გზების რეაბილიტაცია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, ოქტომბრის ცენტრიდან ზუგდიდი-ანაკლიის საავტომობილო გზამდე (ახალკახათის გავლით), საავტომობილო გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტი საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 218 088 ლარია.

### აბაშა – მუნიციპალიტეტის მერი საკრებულოს წევრებს შეხვდა

აბაშის მუნიციპალიტეტის მერი ლევან მაკალათია, მერიის სხდომათა დარბაზში მოადგილესთან, სამსახურების ხელმძღვანელებთან ერთად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და საკრებულოს წევრებს შეხვდა. მათ ერთობლივად განიხილეს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და მათი მოგვარების გზებზე იმსჯელეს. შეხვედრაზე ისაუბრეს სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებზე, ყურადღება გამახვილდა აგრეთვე ინფრასტრუქტურულ, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებზე. განსაკუთრებით აღინიშნა, რომ აუცილებელია ახალგაზრდობის პრობლემებზე ზრუნვა და მათი ჩართვა მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესებში.

### სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა მარტვილში

მარტვილის მუნიციპალიტეტში (ქ. მარტვილი, მშვიდობის ქუჩა) სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის მშენებლობა გრძელდება. პროექტის ღირებულება 126 899 ლარია, სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული შპს „ნიუ ბილდ გრუპი“ ასრულებს.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ცენტრის სამშენებლო სამუშაოები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება.

### ჩხოროწყუ – 1 500 000 ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა მუნიციპალიტეტში დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს.

დაბა ჩხოროწყუში, საროდონაიოს უბანში, მიმდინარე წლის 12 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანებული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში, გაკეთდა ბეტონის გზა, მოეწყო სანიაღვრე არხი.

სოფლ ჭოღაში მიმდინარეობს ასევე სტიქიის შედეგად დაზიანებული შიდასაუბნო გზის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრი ჯებირის მოწყობა. ხელშეკრულების თანხა 39 464 ლარს შეადგენს.

შეგახსენებთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2017 წლის 12 ივლისის სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 1 500 000 ლარი გამოიყო. თანხა ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სახიდე გადასასვლელების, სანიაღვრე არხების, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობას ხმარდება.

### ბორჯომი – ახალდაბაში გზების კეთილმოწყობა დასრულდა

პროექტის მიხედვით, ასფალტბეტონის საფარი დაიგო აღმაშენებლის ქუჩაზე და ვაჟა-ფშაველას ქუჩის I და II მონაკვეთებზე, რკინაბეტონის საფარი კი – რუსთაველის ჩიხში, რიკაძეებისა და კაპანაძეების უბნებში.

სამუშაოების ფარგლებში სულ 2 კილომეტრისა და 700 მეტრის გზის მონაკვეთი კეთილმოეწყო. ამ ქუჩებზე გზის საფარი არასოდეს



ამბროლაური

# საქართველოსთვის



რუსთავი

ყოფილა, დღეს კი ადგილობრივებს უკვე სუფთა და მოწესრიგებული ინფრასტრუქტურით შეუძლიათ ისარგებლონ.

### რუსთავი – ყველაზე ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის 2017 წლის ანგარიშის პრეზენტაციაზე, „ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის“ კვლევების მიხედვით, ყველაზე მაღალი შედეგის მქონე 5 მუნიციპალიტეტს შორის დასახელდა ქალაქ რუსთავის მერია.

პროექტს „ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი“, ფონდის,, ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრი (CTC), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) და მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრი (MSDC) ერთობლივად ახორციელებენ.

პროექტის მიზანია საქართველოში გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული თვითმმართველობის ჩამოყალიბება, თვითმმართველობაში საზოგადოების მონაწილეობის გაზრდა და კორუფციის რისკების შემცირებაა.

### სენაკი – საკარმიდამო ნაკვეთები აღარ დაიტბორება

მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის მერის, ლევან კუპრეიშვილის დავალებით, წლების განმავლობაში დაგროვილი შლამისა და ინერტული მასალისგან გაიწმინდა ბელიაშვილისა და სტალინის ქუჩების კვეთაზე არსებული მილხიდი, აგრეთვე ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხი და სტალინის ქუჩაზე მდებარე გზის სავალი ნაწილის გასწვრივ მდებარე კიუვეტი 100 გრძივ მეტრზე. შედეგად, წყალუხვობისას მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საშიშროება აღარ არსებობს.

ასეთივე სამუშაოები შესრულდა ჯიხას ქუჩის ჩიხში – გზის სავალი ნაწილის გასწვრივ კიუვეტი მოეწყო 350 გრძივ მეტრზე. სამუშაოებს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის და გამწვანებისა ცენტრის თანამშრომლები ასრულებენ.

### ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.

„ბოლნისის მუნიციპალიტეტი მრავალეთნიკურია და ჩვენ ყოველთვის ვამაყობთ მრავალფეროვანი ეთნოსით. განსაკუთრებით მახარებს ის ფაქტი, რომ წლების მანძილზე თბილი, მეგობრული ურთიერთობები გვაკავშირებს. ცენტრალური, სამხარეო თუ ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ თითოეულმა თქვენგანმა საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნოთ თავი“, – ამ სიტყვებით გახსნა შეხვედრა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელმა საზოგადოებას მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები გააცნო.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდნენ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი, ასევე არასამთავრობო სექტორის,,, ქალთა ოთახის“, სახალხო დამცველის აპარატის, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის ბოლნისის რეგიონული სასწავლო ცენტრის ადმინისტრატორი და ბოლნისის სკოლამდელი აღზრდის და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულების ხელმძღვანელი.



სენაკი

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

**მთვარისა კევლიშვილი.**
**ტელ.:** 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69



**– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეებზე საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ფარგლები გაფართოვდა. ხომ ვერ მოგვაწოდებთ დაწვრილებით ინფორმაციას?**

– დიახ, თქვენი სწორად ინფორმირებული ბრძანდებით.

მე წარმოგიდგენთ შესაბამის ნორმას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან თქვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით:

მუხლი 303. საკასაციო საჩივრის დასაშვებობის გადაწყვეტა

3. საკასაციო საჩივარი დასაშვებია, თუ კასატორი დაასაბუთებს, რომ:

ა) საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას;

ბ) საქართველოს უზენაეს სასამართლოს მანამდე მსგავს სამართლებრივ საკითხზე გადაწყვეტილება არ მიუღია;

გ) საკასაციო საჩივრის განხილვის შედეგად მოცემულ საქმეზე სავარაუდოა მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება;

დ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება განსხვავდება მსგავს სამართლებრივ საკითხზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მანამდე არსებული პრაქტიკისაგან;

ე) სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მატერიალური ან/და საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით, რასაც შეეძლო არსებითად ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე;

ვ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს;

ზ) კასატორი არასრულწლოვანი მსჯავრდებულია.

* * *

**– ვაფორმებთ საპროცესო შეთანხმებას პროკურატურასთან. შეიძლება თუ არა, სასამართლომ დაამძიმოს ან შეამსუბუქოს ჩვენი პირობები სასჯელის ნაწილში?**

– არა.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე- 6 ნაწილის შესაბამისად, “სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში”.

* * *

**– შეიძლება თუ არა. საპროცესო შეთანხმება შედგეს ბრალდებულის აღიარების გარეშე?**

– არა.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209 -ე მუხლის 1 ლი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

* * *

**– რამდენია პატიმრობის მაქსიმალური ვადა განაჩენის გამოტანამდე?**

– სრულწლოვანი ბრალდებულის შემთხვევაში – 9 თვე, არასრულწლოვანი ბარლდებულის შემთხვევაში კი – 6 თვე.

* * *

**ჩემმა შვილმა ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე დაჭრა სიმამრი. სასამართლო- ფსიქიატრიულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ იგი დანაშაულის ჩადენის დროს იყო შეურაცხადი. რა მოხდება შემდეგში?**

– საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თუ დადგინდა, რომ ბრალდებული დანაშაულის ჩადენისას შეურაცხი იყო, სასამართლო მხარის შუამდგომლობით შეწყვეტს მის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას. ამასთანავე, საქმის განმხილველი მოსამართლე ვალდებულია „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, იმავე განჩინებით გადაწყვიტოს ამ პირისთვის იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების საკითხი. ეს განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის 207-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამავე მუხლის მე-21 ნაწილის მიხედვით, ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე განჩინებით განსაზღვრავს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ვადას. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 4 წელს. ვადის განსაზღვრისას გაითვალისწინება ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა და ბრალდებულის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკის ხარისხი, რომელთა შეფასებაც მოცემულია ბრალდებულის შერაცხადობის თაობაზე სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნაში. ამასთანავე, განჩინებაში მიეთითება, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა შეიძლება შეწყდეს დადგენილ ვადაზე ადრე, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 221 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების აღმოფხვრისთანავე, თუ მათი აღმოფხვრა დადასტურდება იმავე კანონით დადგენილი წესით.

# შვილო ზურაბ, სადამდის ანუ დამბოლებლებისა და დაბოლილების შესახებ



მარიხუანას მოხმარებისთვის, როგორც კანონით განმარტავენ, პირადი მოხმარებისთვის, სასჯელი გაუქმდა, თუმცა, ეს არ ნიშნავს ლეგალიზაციას, ეს არ ნიშნავს, რომ არ ისჯება პლანტაციების გაშენება, გაყიდვა, ყიდვა, დიდი დოზით შენახვა – ეს არ ნიშნავს იმას, რომ მარიხუანა ნარკოტიკი არ არისო...

ანუ, მარიხუანა ნარკოტიკია, მაგრამ თუ პირადი მოხმარებისთვის გინდათ, ანუ, თუ პირადად თქვენ გინდათ დაშტერება, ბაზარი არ არის, დაშტრედით, დაშტრედითო – გვითხრეს...

ეო, ჯაფარიძემ, მარტო ჩვენ რა პონტში დავშტერდეთო, სხვები ფხიზელი თვალით რომ გვიყურებენ – გვიტყდებაო, სხვებიც რომ არ ეწევიან – მარტონი ცუდად ვკაიფობთო, მანამდე არ მოვისმევენებთ, მანამდე არ ჩავაგებთ ხმლებს ქარქაშებში – სანამ ყველა არ მოწევთ, სანამ ყველა არ დაშტერდებითო...



ყველამ საკუთარი შვილების დაშტერებით, რომ დავიწყოთ, ბატონო ზურაბ?

შვილო, ზურაბ, სადამდე?

სადამდე უნდა იჯდე, შვილო ზურაბ, ნეხვში, სადამდე? იმ ქვეყანას რა ვუთხარი, სადაც თქვენნაირ ჭკვიან ადამიანს პლანის ლეგალიზაციისთვის უწევს ბრძოლა მომხრეების შესაძენად, იმ მთავრობას რა ვუთხარი – თქვენ რომ ისე დაგიტოვათ საქმე, რომ დაბოლილების გარდა ამომრჩეველი არა გყავთ...

თქვენი მოსაწონი ისე არც არავინ დარჩა – ნაციონალები იყვნენ და ჯერ ადიდეთ, მერე ლანძღეთ... საკუთარი პარტია სცადეთ – არ გაამართლა ეკონომიკაზე საუბრებმა, ფინანსებზე საუბრებმა, მერე წყალწაღებულმა მეორე წყალწაღებული იპოვნეთ და ბურჭულაძეს დაუკავშირეთ ბედკრული ბედი... კიდევ კარგი, ბურჭულაძემ თქვენც გადაგაგდოთ, თორემ ვის დააბრალებდით თქვენს პოლიტიკურ კრახს...

და მაშინ დაიწყეთ ძებნა – რა ველი იყო დაუკავებელი, ვისი უფლებების დაცვა იქნებოდა მომგებიანი... ლესბო და გეი სასტავი დაკავებული დაგხვდათ – ნარკოტიკის დამცველი რაინდის ადგილი ცარიელი...

ვაღიაროთ, ჭკუა ხომ სჭირდება იმის მოფიქრებას, რომ დაბოლილები საკმაოდ დიდი ძალაა საქართველოში?

ხოდა, ბოლო აქციაზე პირადი მოხმარებისთვის კანონით უკვე არადასჯადი დაბოლილები თამამად გამოეფინენ და ხმა ამოიდგა ჯაფარიძემ...

ერთკაციან პარტიებს ორი ძმაკაცი რომ მოგყვებათ აქციაზე და ყველა აქციის ორგანიზება ექვსნიშნა ციფრი გიჯდებათ – აბა, მიყურეთ, აბა, შემომხედეთო...

ჯერ ერთი, შვილო ზურაბ, დიდი ხანია ორი ძმაკაცის იქეთ კიდევ ვინმე დაგტრიალდებს თავს? და მეორეც, ნეხვი ყოველთვის უფასო იყო და რაღა ახლა დაედებოდა ექვსნიშნა ციფრის ფასი?

ნეტა რამდენი ნერგი მარიხუანა დაგიჯდა აქცია, შვილო ზურაბ?

იმ ზურაბმა ციხე მაინც ააშენა, იმის სიცოცხლემ ლეგენდა მაინც დატოვა – რა ტყუილად იღუპავ თავს, რა ტყულად ისუნთქავ ნარკოტიკს, რა ტყუილად ზიხარ ნეხვში...

ან რა მოწიე ეგეთი, ფეისბუქზე რომ დაგიწერია, ვისაც ჩემი აქცია არ მოეწონება დიდი ადგილი გაანთავისუფლა მთაწმინდაზე ხანძარმა და დაუყევით რივოკითო... ფრაზის დაბოლოების ერთი ადგილი მაინც გქონდეს, შვილო ზურაბ...

ჯერ ერთი, კი არ გაათავისუფლა ხანძარმა ადგილი, გადაწვა, შვილო ზურაბ, ტყე გადაწყვა და დაბოლილი რომ არ ყოფილიყავი, ჩემსავით საკუთარი თვალით ნახავდი, როგორ მართლა სიცოცხლის ფასად ჩააქრეს მეხანძრეებმა... მეორეც, ზუსტად იმიტომ გაათავისუფლა ის ადგილები ხანძარმა, ნუ, როგორც ამბობ, რომ იქედან დავეშვეთ და იქედანაც ზუსტად იმიტომ უნდა დავეშვეთ, თურმე, შენ რომ დაგასკდეთ... მანამდე არაფერი ჭამო კი არადა, მანამდე არაფერი მოწიო, შვილო ზურაბ, დასკდომასაც დამსახურება უნდა... ზუსტად იმიტომ გამოვექანები ახლა ჩემი გადამწვარი მთაწმინდიდან, რომ ნეხვში მოვადინო ზღართანი...

ხო, არ მომეწონა და მაქვს მგონი ჩემი კონსტიტუციური და მორალური უფლება არ მომწონდეს რაღაცეები და ვთქვა საკუთარი აზრი... ამიტომ ასე უნდა მიპასუხო?? კაცს პოლიტიკოსად მოგაქვს თავი, უკვე ორ ძმაკაცზე მეტიც გიდგას გვერდით და ის ორძმაკაციანი დრო აღარ გახსოვს, კაცს პოლიტიკოსად მოგაქვს თავი და პლანის გარდა არაფერზე საუბრობ – მაინც არ გეძახი ნარკომანს, კაცს პოლიტიკოსად მოგაქვს თავი და ოფისში პლანის პლანტაციას აშენებ – მაინც არ გეძახი ბარიგას და ახლა თავზეც კი არ უნდა მიყო, ყველაფერს აქვს საზღავრი.

როგორ მითხრეს, რა დროს მარიხუანააო...

რა სინდისით გითხრეს, შვილო ზურაბ?

ბევრჯერ დაგინდე, შვილო ზურაბ, ბევრჯერ არ ვთქვი სათქმელი ბოლომდე, რადგან, ვიცი ჭკვიანი ხარ, ვიცი ეკონომიკისა და ფინანსურ სამინისტროის გამოადგებოდა ჩემს ქვეყანაში შენნაირი კაცი, ვიცი რომ კარგი ადამიანიც ხარ და ოჯახსაც ტრადიციულად მიჰყვები და მიგყავს...

მაგრამ ნეხვს თავზე მაყრი და გადავაქოთე ძველი წიგნები და რეცეპტები და ვერსად ვიპოვნე ნეხვი თმებს უხდებოდეს და ნეხვის სუნი ბუზის გარდა ვინმეს იზიდავდეს, თორემ, ახლაც გავჩუმდებოდი...

ხოდა, რა დროს მარიხუანაა, როგორ აპირებ მარიხუანის გაკონტროლებას – როცა ჩემი სახლის წინ 15 წლის მოზარდები ფსიქოტროპული წამლებით იჭყიპებიან?

რა დროს მარიხუანაა, როცა ეკლესიას თავზე გვანგრევენ და გკიდია, იმიტომ რომ დაბოლილების გარდა სხვა ამომრჩეველი ვერ დააინტერესე?

რა დროს მარიხუანაა, როცა ამდენი კარგი იდეა და პროექტი გაქვს, მაგრამ იმხელა ამბიცია, რომ არავისთვის გინდა გაზიარება, არავისთვის გემეტება, ერთი მოკავშირეც ვერ იპოვნე, ხო ვერც ის ექვსნიშნა ფიცრის ინვესტიცია მოიპოვე და ამიტომ რაზეც ხელი მიგიწვდა, იმას დასჯერდი? რატომ, მარიხუანას არც ინვესტორი უნდა, არც მეკავშირე, ხო? მხოლოდ დაბოლილები და ზურაბა...

რა დროს მარიხუანაა, როცა მოზარდები ისევ ქუჩებში გადიან, როცა მოზარდების დედები საზღვარგარეთ მიდიან, რათა უპატრონონ რომელიმე ნარკომან მოხუცს, რომელმაც ახალგაზრდობაში იმდენი მოწია და გაიკეთა, ახლა ისიც აღარ ახსოვს, როდის უნდა ჭამოს და როდის უნდა მოისაქმოს...

რა დროს მარიხუანაა, როცა ქვეყანაში ასე ღიად, ასე დაუფარავად მიდის ტრადიციული ორიენტაციის დევნა და სექსუალური უმცირესობის პროპაგანდა?

სხვათა შორის, მე თქვენ გკითხეთ ერთხელ, თქვენი ოჯახის წევრები როგორ გინდათ რომ ცხოვრობდნენ და გინდათ თუ არა, რომ ეწეოდნენ-თქო და მაშინ არ დავბეჭდე თქვენი პასუხი, არჩევნები იყო კარზე მომდგარი და დაგინდეთ, არჩევნები იყო კარზე მომდგარი და გულწრფელად მინდოდა გაგემარჯვათ, იმდენი ბევრი კარგი პროექტი გქონდათ...

ხოდა, ახლა გიწვევთ, გამოიყვანეთ თქვენი ოჯახის წევრები, მოდით, ერთი კვირის მანძილზე დღეში სამჯერ მოვაწევინოთ მარიხუანა და დავაკვირდეთ – რამდენად ადეკვატურები იქნებიან, შეძლებენ თუ არა სწავლას, მუშაობას, მანქანის ტარებას, ურთიერთობებს, მეხსიერების ჩავარდნები პროცენტულად როგორ ექნებათ, რამდენად ხშირად იქნებიან გაღიზიანებულნი, განერვიულებულნი... თუ თანახმა იქნებით და თუ ამ ერთკვირიანი მარათონისთვის გამოიყვანთ თქვენს ოჯახს – ჩავთვლი რომ გულწრფელად გწამთ იმის, რასაც აკეთებთ, თორემ, ასე, სხვისი შვილების, სხვისი ქმრების, სხვისი ძმების, სხვისი მამების, სხვისი ცოლების, სხვისი დედების, სხვისი შვილების ხარჯზე მარიხუანასაც გაამართლებთ და ციანიდსაც...

ოჯახი რატომ გარიეო, ვინც იფიქრებს და მეტყვის, რატომ, ბატონი ზურაბი ევროპული ყაიდის პოლიტიკოსობას ხომ იბრალებს და ევროპაში და ამერიკაში აპრობირებული მეთოდია, როცა პოლიტიკოსი ასე ღიად ლობირებს რაიმეს, აუცილებლად აჩვენებს ამომრჩეველს, რომ თავად და მისი ოჯახიც ამის მომხმარებელია, ასე რომ... დავკვალიანდეთ, ამერიკული ყაიდის პოლიტიკოსი ვართ თუ კომუნისტური პოლიტიკის – სამსახურში აღდგომა დღეს ხელებს რომ უმოწმებდნენ თანამშრომლებს, წითელი კვერცხის კვალი ხომ არ აჩყვიათო და სახლში პასკას ჯვარს გადადაწერდნენ და სანთელს ჩუმად ანთებდნენ... მე მაინც მგონია, რომ ზუსტად ასეთი კომუნისტური, ორმაგი მორალის პოლიტიკოსი ხართ და თუ დამიმტკიცებთ საწინააღმდეგოს, მთაწმინდიდან გამოქანების რა გითხრათ, მაგრამ საჩვენებლ თითს მოვკაკვავ...

და ბოლოს – ზოგჯერ შუაღამისას, როცა ძილი მიფრთხება, როცა ეგოიზმი და ამბიცია ზენიტში ადის – მეც ვფიქრობ ხოლმე, რომ ჩემი ადგილი სადღაც ზემოთაა, სადღაც პარლამენტში, მინისტრად, პრეზიდენტად, რატომაც არა... ვფიქრობ, რომ არავისზე ნაკლები იდეები არ მაწუხებს და იმ მომენტში მეც მგონია, რომ სხვებზე უკეთ გავაკეთებ საქმეს... მაგრამ, პარლამენტში მოსახვედრად, არც ბოზობა დამიწყია, არც ნარკომანობა, არც აფერისტებს ჩავხუტებივარ, არც აფერისტობა დამიწყია, არც ნეხვში ჩავმხტარვარ, არც არავინ მომიტყუებია, სახლში აღდგომას კვერცხსაც ვღებავ და ნაალდგომებს წითელი თითების გამოჩენისაც არ მრცხვენია, როცა რამეს ვამბობ და ვაკეთებ, სულ იმას ვფიქრობ, საკუთარი ოჯახისთვისაც ხომ იგივეს ვიტყოდი და გავაკეთებდი...

ამიტომ დამყვება მე ორიოდე მეგობარი და თქვენ დაბოლილების არმია...



**თამო კუშელავა**
555 46 08 04

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება.
დასაწყისი „სგ“ N1 2017)

„სვანჰილდის საგა“ მოგვითხრობს უხსოვარი დროის ისტორიას, რომელიც ჩვენი აზრით, დაახლოებით ძვ.წ-მდე II ათასწლეულის დასასრული უნდა იყოს. ეს შუა საუკუნეების ნორვეგიელისთვის ძალიან შორეული წარსული იყო, ამიტომ თარიღის ნაცვლად „უხსოვარ დროდ“ აღნიშნავენ. შაგა მოგვითხრობს ნორვეგიელი იარლის, სვანჰილდის ამბავს, რომელიც თავისი ბრტყელძირიანი დრაკარითა და ორი კნარით შორეულ მოგზაურობაში წავიდა და შინ აღარ დაბრუნებულა, მხოლოდ მისმა შთამომავლებმა მიიტანეს ამბავი ნორვეგიამდე, სადაც ამ ამბავს საგა მიეძღვნა. აქ გვეძლევა საშუალება რომ „არგონავტიკის“ ყველაზე საინტერესო დეტალს შევეხო თ.

„სვანჰილდის საგას“ მიხედვით, ნორვეგიაში იმ დროს ბინადრობდა თოვლის ლეოპარდის, სნოლეოპარდის (Snoleopar) განსაკუთრებული სახეობა. ისინი ყველაზე მაღალ მთებზე, მიუდგომელ ადგილებში ცხოვრობდნენ და ოქროსფერი, სქელი ბეწვი ჰქონდათ. სნიოლეოპარდის დაჭერა მრავალი მონადირის სურვილი იყო იყო, მაგრამ ვერავინ მოიხელთა. მხოლოდ ერთმა, სვანჰილდმა შესძლო მთაზე გალდჰოპინგენზე ასვლა და სნიოლეოპარდისთვის მახის დაგება. შნიოლეპარდი ორმოში ჩავარდა და მოკვდა. სვანჰილდმა ის გაატყავა და როდესაც იარლ ტოივოინენის მიერ აოხრებულ სამშობლოს ტოვებდა, მისი ბეწვი, როგორც უდიდესი განძი, ერთ-ერთ ხომალდზე ჩამოჰკიდა და თან წაიღო. ამ დროიდან სვანჰილდის აფრაზე გამოსახული იყო სნიოლეოპარდის თავი. „ტოივოინენი და მისი ფირდი ერთად დაესხნენ სვანჰილდს, გადაწვეს სახლი, ცეცხლს მისცეს სოფელი. გარადჩა სვანჰილდი და სამოცდაცხრა ჰუსკარლი მისი, გაცურეს შორეულ ზღვაში, უცხო ნაპირებისკენ, გაცურეს და უკან აღარ დაბრუნებულან.“ („სვანჰილდის საგა“)

შემდეგი ნაწილი მოგვითხრობს როგორ გადალახა სვანჰილდმა დიდი ზღვები, გაკვეთა ჰერკულესის სვეტები (გიბრალტარის სრუტე) და მიაღწია საბერძნეთს. ვიკინგთა ესკადრას აქ შუერთდამცირე ბერძნული ხომალდი, რომელსაც არგონავტების ცნობილ მითში „არგოს“ უწოდებენ. მასზე 20 მეზღვაური იყო და მეთაურად ჰყავდათ იაზონი, რომლის სახელი „სკანდინავიურ საგაში“ იესნად მოიხსენიება. იაზონმა დაინახა სვანჰილდის სნიოლეოპარდის ოქროსფერი ტყავი და მისი ხელში ჩაგდება მოინდომა – სწორედ ეს იყო მისი მიზანი, როდესაც ვიკინგების ხომალდებს აედევნა. მოგზაურებმა ერთად გადაკვეთეს ზღვა, რომელსაც ბერძნები Euxinus Pontus-ს უწოდებენ და მივიდნენ კოლხეტამდე. სანაპიროსთან მატ დახვდათ მძლავრი კოლხური ფლორი, რომლის მეთაურმა სუბმარხიოსმა, მას შემდეგ, რაც შეიტყო სტუმრების ვინაობა და ისიც, რომ სამტროდ არ იყვნენ მოსულები, მეფესთან გაგზავნა ქალაქში, რომელსაც „სვანჰილდის საგაში“ „ცხელი ქალაქი“ ეწოდება, ბერძნულ წყაროებში კი „აია“.

საგაში აღწერილია როგორი დიდებული დახვედრა მოუწყო ვიკინგებს კოლხთა მეფემ, აიეტმა. ცალკე ამბავია იაზონის მიღება. იაზონი დიდებული სამეფო აღჭურვილობით ჯერ კიდევ ხომალდშივე ამირანი ჰგონებიათ კოლხებს. როდესაც ის მიწაზე გადმოხტა, ისეთი გრუხუნის ხმა იყო, კოლხთა მეფეს, აიეტს, ეგონა ამირანი ჩამოვიდა მთიდანო და მაშინვე მისი მიპატიჟება ბრძანა. მეფე, რომელსაც ვაჟი არ ჰყავდა, იაზონს გადაეხვია და გულში გაუელვა, რა მამაშვილური სიყვარული იგრძნობაო. აიეტს თავი ღმერთად მიაჩნდა და იაზონი ღმერთის შვილად წარმოედგინა, თითქმის დარწმუნდა, ტომ ის ამირანი იყო. მთელი კვირა გაგრძელებულა დიდი ნადიმები, რომლებზეც ასი ხარი და ორასი ცხვარი დაიკლა, ღვინო კი იმდენი დაილია, სკანდინავიელი სკალდიც ზღვას ადარებს.

განსაკუთრებით საინტერესო ეპიზოდია სვანჰილდისა და აიეტის შეჯიბრი ღვინის სმაში. საგას მიხედვით, სვანჰილდი ცნობილ მსმელად ითვლებოდა ნორვეგიაში და კოლხეთშიც ტოლს არ უდებდა ადგილობრივ ფალავნებს, მხოლოდ ერთმა კაცმა შეძლო მასთან გაჯიბრება, თვით მეფემ, რომელსაც არ სურდა უცხოელს მისთვის რამეში ეჯობნა. სვანჰილდი და აიეტი ღვინის სმას შეუდგნენ. ორივე ცლიდა და ცლიდა საწმისს, კოლხურ თასს და კიდევ ავსებინებდა მონებს. ბოლოს, სვანჰილდს მეტის დალევა აღარ შეეძლო, რომელიც ყოველი დალევის შემდეგ ყოველ საწმისს მიწაზე ანარცხებდა და ამსხვრევდა, მეტი საწმისი აღარ შერჩა ხელთ, ჩაავლო ხელი სვანჰილდის რქებიან მუზარადს, რქა მოაგლიჯა, ღვინით გაავსო და დალია. ეს ქმედება მეფე აიეტის ვიკინგ იარლ სვანჰილდზე გამარჯვების ნიშანი გახდა. (ამით მტკიცდება, რომ ვიკინგებს მართლაც ჰქონდათ მუზარადზე რქები და როგორც ჩანს, ამის შემდეგ დამკვიდრდა საქართველოში რქით, ანუ ყანწით ღვინის დალევა, რადგან მანამდე სასმისი კოლხური თასი იყო.)


სკანდინავიური მუზარადი

გაოცებულ სვანჰილდს, რომელიც აქამდე სმაში არავისთან დამარცხებულა, უბრძანებია მისი ხომალდიდან ჩამოეხსნათ სნიოლეოპარდის ტყავი და ის საჩუქრად მიართვა კოლხთა მეფეს. მეფემ სიამოვნებით მიიღო ძღვენი, რომელსაც „ოქროს საწმისი“ უწოდეს, რადგან სვანჰილდმა ის საწმისებით შეჯიბრში წააგო. (სავარაუდოდ, აქედან მოდის სიტყვა „სასმისი“) აიეტმა ძღვენი გამარჯვებისა და კოლხეთის დიდების ნიშნათ უზარმაზარ მუხის ხეზე გააფენინა.

მეორე აღსანიშნავი ეპიზოდია სვანჰილდი კოლხეთის მთებში. „შეჰფენია სვანთა სოფლები უმაღლეს მთებს, რომელთა მსგავსი არ არის სხვაგან გარდა ჩვენ სამშოვლოში“ – გვეუბნება სკანდინავიური საგა. იქვე მოტანილია სვანჰილდის სიტყვები, ის მთაზე ასულა და უთქვამს „აქ გრძნობ ყინვის გემოს.“ შემდეგ მუჭით თოვლი ჩაუდია პირში: „გემო აქვს საამო, თითქოს ჩემი სამშობლოს თოვლი იყოს.“

„დატოვა სვანჰილდ ქვეყანა კოლხთა, მეფე აიეტ და მისი ხალხი, გაემართა ის შორეული ზღვებისკენ“ – აქედან უკვე საგა აღარ მოგვითხრობს „ოქროს საწმისის“ შემდგომ ისტორიაზე, ამიტომ იაზონის ამბავს უკვე ნეკიმ-რუფინ ფანაგორიელის (ძვ.წ. Iს) „მსოფლიო წრეში“ მოცემული დეტალებით ვავსებთ. ეს თხზულება საკმაოდ მოკლე აღწერას გვაძლევს, რადგან „მსოფლიო წრე“ ზოგადი ხასიათის ნაწარმოებია და მასში ავტორი ძალიან ბევრ ქვეყანასა და პიროვნებაზე მოგვითხრობს.

ვიკინგების წასვლის შემდეგ იაზონს, რომელსაც დაუოკებელი სურვილი ჰკლავდა „ოქროს საწმისის“ ხელში ჩაგდებისა მას შემდეგ რაც ის პირველად იხილა სვანჰილდის ხომალდის ანძაზე, გადაუწყვიტავს მისი მოპარვა. იაზონი ამაყად დააბიჯებდა კოლხეთში, რომლის ქვიან მიწაზე მისი რკინის ქალამნები დიდ ხმას გამოსცემდა და ხალხს ის მართლაც ამირანი ეგონა, თაყვანს სცემდა და გზას უთმობდა. მან ამით ისარგებლა და მუხის ხიდან „ოქროს საწმისი“ ჩამოახსნა. იაზონმა კიდევ ერთხელ გააცურა აიეტი რომელიც მის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდა, ქვიშიან ნაპირს დაუყვა, იქ, სადაც დღეს ურეკია და მისი ფეხის ხმა აღარ ისმოდა. აიეტმა ვეღარ გაიგონა მისი ფეხის ხმა და კვალი დაეკარგა. მდინარე ფასისის სათავესთან იაზონმა რკინის ქალამნები გაიხადა და ის და მისი თანამგზავრები ღამით „არგოზე“ ავიდნენ, თან „საწმისი“ წაიღეს. იაზონმა მოიტაცა კოლხეთის მეფის ქალიშვილიც) მმედეა, როგორც „არგონავტიკა“ მოგვითხრობს), კოლხი გემთმშენებლები, კოლხურ ფლოტს კი ცეცხლი გაუჩინა და ზღვაში გაცურა. ფლოტი მთლიანად დაიწვა და განადგურდა (ნეკიმ-რუფინი XII:34). როდესაც მეფეს ეს ამბავი შეუტყვია, ძალზე დამწუხრებულა და რამდენიმე დღის შემდეგ თავი მოუკლავს. იაზონის შემდგომი ბედი მხოლოდ „არგონავტიკაშია“ აღწერილი, თუმცა რამდენად შეესაბამება ის რეალობას, ამაზე საუბარი უკვე ძნელია. („უკეთ შევისწავლოთ საქართველოს ისტორია“)

ცოტა არ იყოს, დაიბნევა ადამიანი, ხომ?...

საქართველო ჩვენი პლანეტის უძველესი ცივილიზაციების სამეულში შევიდა საბერძნეთისა და ეგვიპტის შემდეგო – უხარიათ საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს საქართველოში, არადა, მეცნიერებმა მშვენივრად იციან სიმართლე, თუმცა, მიზეზთა გამო დუმილს ინარჩუნებენ. როდემდე დამალავენ იმას, რაც წვეთ-წვეთად, მაგრამ ჩნდება – როგორც ჩვენც ვხედავთ, ფაქტებით სხვაგვარადაა საქმე, მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციიდან იშვა!



მზის ძმა HD162826

საკითხავი მხოლოდ ისაა, თვით კოლხური ცივილიზაცია საიდან გაჩნდა დედამიწაზე, მართლა ციდან (სხვა გალაქტიკიდან) ხომ არ ჩამოვიდა პირველი სამეფო ხელისუფლება დედამიწაზე, როგორც შუმერული ხელნაწერები ამბობენ, ანუნაკებმა ხომ არ აღმოაცენეს? – უძველეს კოლხურ ცოდნასთან რომ პირდაპირ არის მოცემული ცასთან (კოსმოსთან) კავშირი...

„მზის შვილი“ იყო აიეტი, მაგრამ რომელ მზეზეა, ნეტავ, საუბარი?

„მზის ბუდეების“ ჩაშლილი და დარღვეული ნაშთები ჯერ კიდევ გვხვდება საქართველოს მთაში, ზღვის დონიდან 3000 მეტრამდე სიმაღლეზე, ძირითადად, სოფლების ან ნასოფლარების აღმოსავლეთ გორაზე აგებული, რაც თვალნათლივ მეტყველებს იმაზე, რომ „ძველებს“ გარკვეული ასტრონომიული ცოდნა ჰქონდათ. მთებზე ჩადგმული ქვებისა და წრიული ყორე-ნაგებობების უმეტესობა კანდშაფტთან მიმართებაში ერთნაირადაა განლაგებული, მიმართულია სამხრეთისკენ. ამ „საქმის სპეციალისტი“, ანუ „მემარგე“ მზისა და მთვარის ჩრდილების ბუდეებზე გადანაცვლების მიხედვით არკვევდა ახალი წლის დადგომის დროსაც, ახალი თვისაც, სეზონის თუ თვით მოსალოდნელ ამინდსაც. ხევში, სოფელ სნოში, მთაზე, ზღვის დონიდან 3000 მეტრზე სპატანგელოზის სალოცავი და სამანის ქვა არის, რომელსაც ძველად „მზის ბუდეს“ უწოდებდნენ და ბრძოლისთვის მოსამზადებლად, რწმენისა და დადებითი ენერგიის მიმნიჭებლად მიიჩნეოდა. ჭრიული ნაგებობის ნაშთები პირადად მაქვს ნანახი დედულეთში, თუშეთში, სოფელ შენაქოსთან და არის ასევე სოფელ ბოჭორნის თავზე (ომალოს უკან), გომეწრის ხეობაში, მთის წვერზე. გასაკვირი არ არის, რომ ხვამლის მთაზეც არის იგივე...

საინტერესოა – ჩრდ. კავკასიაში, ხამხის ტერიტორიაზე შემორჩენილი ქვის სვეტად აგება, მას „ჩურტი“ ჰქვია და ადგილობრივები მემორიალურ ძეგლად ცნობენ. მის ძირში, კლდის გაყოლებაზე პატარა ღრმულები შეინიშნებოდა, ანუ ციური მნათობების მოსანიშნი ადგილები. კავკასიურ „ჩურტს“ ჯვრის ფორმები აქვს საფუძველშივე და ასე გრძელდება. შახელწოდებები „ჩურტი“ და „ჭორტი“, იგივე „მზის ბუდე“, ხმოვანებით საოცრად ჰგავს ერთმანეთს, სულხან-საბას კი, „ჭორტი“ და „ქვაკაცაი“ სინონიმებად მიაჩნია.

(მზის ბუდობაზე გიორგი ცოცანიძეს წიგნში „გიორგობიდან გიორგობამდე“ აქვს აღწერილი – თუშები 21–22 დეკემბრის შემდეგ დღის გაზრდას და ღამის დამოკლებას მას უკავშირებენ)

ძალიან საინტერესოა – მოსე წინასწარმეტყველის თხრობის ქრონოლოგიას რომ დავაკვირდეთ, მზე იქმნება სამყაროს შესაქმის მეოთხე დღეს, მაგრამ მანამდე ხომ უკუნი არ იყო, არსებობდა რაღაც ნათება. რა ნათებაზეა საუბარი? რა ასხივებდა მანამდე სამყაროს სრულ სივრცეს?

სამწუხაროდ, თანამედროვე ადამიანები აბსოლუტურ გაუგებრობაში ვართ მოხვედრილები, გაყალბებული ისტორიებისა და ფაქტების გამო იმდენიც კი არ ვიცით, რამდენიც უნდა ვიცოდეთ...

ასტრონომების ჯგუფმა აივენ რამირესის ხელმძღვანელობით (ტეხასის უნივერსიტეტი, ოსთინი) მზის ტყუპისცალი აღმოაჩინა, ვარსკვლავი, რომელიც, პრაქტიკულად, გაზისა და მტვრის იმავე ღრუბლიდან გაჩნდა, რომლისგანაც „ჩვენი მზე“ ჩამოყალიბდა. (საკითხავია, რა რისგან გაჩნდა...)

მეცნიერების მიერ აღმოჩენილი მზის ტყუპის სახელია HD162826. ეს ვარსკვლავი 15%-ით უფრო მასიურია ვიდრე მზე და დედამიწიდან 110 სინათლის წლის მანძილზე, ჰერკულესის თანავარსკვლავედში მდებარეობს. შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს, მაგრამ მცირე სიმძლავრის ბინოკლით შესამჩნევია ელვარე ვეგასთან ახლოს. არიან თუ არა ამ ვარსკვლავის სისტემაში პლანეტები, მითუმეტეს სიცოცხლისთვის თავსებად ზონაში, უცნობია. უკვე 15 წელია მაკდონალდსის ობსერვატორიის პლანეტებზე მონადირეები ამ ვარსკვლავის კვლევით არიან დაკავებულები და დაკვირვებებითა და გამოთვლებით, მასთან მასიური პლანეტების (ე.წ ცხელი იუპიტერები) მდებარეობა გამოირიცხა, ხოლო დედამიწისმაგვარი პლანეტების არსებობის ალბათობა, არ არის გამორიცხული.

სხვათაშორის, დიდად არავის მიუქცევია ყურადღება იმისთვის, რომ გასული ათასწლეულების ძლიერი ავტორები მიგვანიშნებენ საკვირველებას – არქაულ ეპოქაში მზე, როგორც მზე, არ არსებობდა, თუმცა სრულიად სივრცე როგორიღაც კაშკაშა ენერგიით ყოფილა განათებული. ამით იწყება ბიბლიის „ძველი აღთქმაც“.

(გაგრძელება იქნება)

# ვანო ჩხიკვაძე – 70



## ღმერთო, მათქმევინე, საქართველო გადარჩა

ასე ლოცულობს დღენიადაგ პოეტი, რომლის ლიტერატურული დებიუტი აწ უკვე შორეულ 1966 წელს შედგა. მას შემდეგ განვლილმა ათწლეულებმა კი ცხადყო, რომ მისი შემოქმედება, მრავალწახნაგოვანი და უაღრესად მნიშვნელოვანი შემოქმედება თანამედროვე ქართული მწერლობის ორგანულ ნაწილად იქცა.

ვანო ჩხიკვაძის ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, რომლის შთაგონების მთავარ წყაროდ ქართლი ქცეულა, ქართული სახელმწიფოებრიობის ხერხემალი, გაზაფხულის ღვთაებრივი წვიმით განბანილი, მწვანეში გაშოტილი ხარი. აქ, გორიჯვრისა და უფლისციხის სანახებიდან იღებს სათავეს, აქ აათავთავებს ხოლმე ყველა იმ მადლსა და სიწმინდეს, რითაც სავსეა მისი ნააზრევი.

ვანო ჩხიკვაძე პოეტია და ეს პოეტურობა მისი პროზაულ ნაწარმოებებსაც დაედარა. რა ხატოვნად, რა გულმართლაც ხატავს ტიპებსა და ხასიათებს, ხატავს ადამიანური სითბოთი და სიკეთით. სწამს, რომ ადამიანს ძალუძს სძლიოს მის სულში ჩაბუდებულ უკეთურობას და ქვეყანას გამოადგეს. ბოლო წლებში გამოქვეყნებული რომანი „შუშების ომი“ გვზარავს ადამიანური სულმდაბლობის, ადამიანური გაუტანლობის საოცრად ზუსტი ჩვენები თ. ამ რომანში ხომ ავბედითი 2008 წლის ტრაგედიაა ნაჩვენები, როდესაც იქედნეს ნაშობებმა ჩვენს ტანჯულ ქვეყანას ახალი ჯოჯოხეთი მოუვლინეს და ლამის წელში გაწყვიტეს საქართველო.

ვანო ჩხიკვაძე, სულ ცოტა ხნის წინ სამოცდაათისა შესრულდა.

და თუ ვინმესი ეიმედება, ვინმესი სწამს, ეს უპირველესად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია, რომელსაც მშვენიერი ლექსი უძღვნა, რომელიც ასე სრულდება:

თქვენს ფერხთით მდაბლდება მწვერვალები,
ზეცა ახლოვდება, უწმინდესო!

ალბათ, არ იყო შემთხვევითი, რომ გორში, გიორგი ერისთავის სახელობის თეატრში გამართულ საიუბილეო საღამოზე შეკრებილმა საზოგადოებამ მოისმინა უწმინდესის სიყვარულით გამთბარი სტრიქონები პოეტისადმი, არ იყო შემთხვევითი, რომ ქართული ეკლესიის ორი გამორჩეული მღვდელთმთავარი ანდრია და ისაია გულში იხუტებდნენ ქართული მიწის ერთ-ერთ მეციხოვნეს, რომელსაც თამამად შეუძლია განაცხადოს ბიბლიური სიბრძნე:

„განვეშორები ეშმაკისაგან და ყოველთა საქმეთა მისთაგან და ყოველთა მსახურთა მისთაგან და ყოველთა ანგელოზთა მისთაგან და ყოველთა სიბილწეთა მისთაგან.“

ზაალ ბოტკოველი

### დეკემბერი, დეკემბერი!

დეკემბერი, დეკემბერი,
ვაი, უკვე ველარ ვშველი
უკანასკნელ მოფარფატე ფოთოლს...
შენს ნაბიჯებს ისევ ვეძებ,
შემოდგომის ყვითელ გზებზე,
ალბათ მალე თეთრი სევდა მოთოვს...
გადაივლის ეს ზამთარი,
მიყუჩდება მკერდში ქარი,
მაგრამ მაინც უშენობა შემშლის,
რადგან ისევ მოვა მარტი
და ფერდობზე ჩამობარდნილ
ყოჩივარდებს აიტაცებს ხელში...

### გაზაფხულია, მარიამ!

ცისკრის ვარსკვლავი ჟიკჟიკებს,
მაღლა ნაკლული მთვარეა,
გაზაფხულია, მარიამ!
აფრინდა, თეთრი ტყემალი –
კარღია დარჩათ გალია,
გაზაფხულია, მარიამ!
მიტოვებული საფლავის
პატრონი, შემამკობელი,
გაზაფხულია, მარიამ!
ამ ჩემი საწყალი ლექსის
გულდათუთქული მშობელიც
გაზაფხულია, მარიამ!
სიცოცხლე რა ხანმოკლეა,
სიკვდილი როგორ მალეა,
გაზაფხულია, მარიამ!
ბედნიერი ხარ, ქალწულო,
შარავანდედი გავლია,
ორიათასი წლის ბიჭი
კალთაში გიზის, მარიამ...
სადაც კი ფეხი დაადგი,
ნატერფალებიც ჰყვავიან...
გაზაფხულია, მარიამ!

### ქაშუეთი – გუდიაშვილის ფრესკა

მარიამო, გაბმით რეკავს
ქრისტეშობის ზარებს გული —
ყრმა იესო მერცხალია
ხელში შეფრთხიალებული.

მარიამო, უნანავებ
მოჟღურტულე ცეროდენას,
ჯერ არ იცი, რომ ჯვარცმა და
ცრუ ამბორი ელოდება.

ჯერ არ იცი, კაცთა მოდგმა
სულს მოითქვამს მისი ლოცვით,
გაივლის და ფეხისგულებს
დედამიწა დაუკოცნის.

შეჟრჟოლდება ნატერფალიც
იორდანეს ნაპირებთან,
როცა შესძრავს ქვესკნელსა და
ზესკნელს შენი დატირება...

ჯერ კი მამა უფალი დგას
ვარსკვლავების რიკულებთან
და ფრესკიდან ბედნიერი
დედა ღვთისა იყურება.

* * *

ღობეებიდან ყეფენ ვარდები,
წითლად დაფურცლულ ტოტებს გვიქნევენ,
მხრებს უცაბედი თოვლი ადნება,
ალუბლისა და ტყემლის ფიფქების.

შენი თვალების სხივი წკრიალებს,
ასე მოწვეთავს სიტკბო ფიჭიდან
და მე ბავშვური ხელი კი არა,
თითქოს იების კონა მიჭირავს.
ო, რა ახლოა ცრემლის ციმციმი,
აგორებული ელდა ჭორების,
დაისადგურებს როცა სიცივე
გულის გატეხვის და განშორების.

ნუ მკითხავ, ის დღე საით გაფრინდა,
ან კარი რატომ გამოგვიხურეს —
ფანჯრის ჩარჩოდან — იმ სურათიდან
ორი დამჭკნარი ვარდი მიყურებს.

### 4 იანვარი

**ილია მეორეს**

ესეც ოთხმოცი და კიდევ ერთი —
რომ მომკა, უთუოდ უნდა თესო,
— წინ გვიძევს დღეები უკეთესი! —
უფალმა ინებოს, უწმინდესო!

ერი ცხოვარივით მოგენდობათ —
ეს დღე ხომ სჯობია უწინდელსო,
ქვეყნის ბედითა და უბედობით
ძალიან დაღლილო უწმინდესო.

ყოველმხრივ ავსული გვეძალება,
თუკი ხარ მახვილიც უნდა ლესო.
თქვენს ფერხთით მდაბლდება მწვერვალები,
ზეცა ახლოვდება, უწმინდესო!

## ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მინისტრს, ბატონ სოზარ სუბარს

50 წლის განმავლობაში ქსნის ხეობას ვემსახურე, პირველი ადგილობრივი ექიმი მე ვიყავი ხეობაში და თავს არ ვზოგავდი, ჩემი პაციენტების ჯანმრთელობისთვის.

იმ უბედურ დღეს, რაც ახალგორი დავკარგეთ, ჩემთვისაც დაიკარგა ყველაფერი. საკუთარი მიწიდან დევნილად ვიქეცი, მეტიც თითქმის ყველ დევნილისთვის გამოიძებნა თავშესაფარი, მაგრამ, მე, რატომღაც, 10 წლის განმავლობაში საკუთარი ჭერი არ მეღირსა, თუნდაც იმხელა, ერთი საწოლი რომ დავდგა და ხანშიშესულმა ადამიანმა მოვისვენო.

დევნილობის პირველივე დღიდან ჩემი დის ბინას მიმაწერეს, სადაც 8-სულიან ოჯახთან ერთად დღემდე ვცხოვრობ, უკვე 80 წელს მიტანებული ადამიანი.

ამ 10 წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ მივმართე ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ამ უწყების შესაბამის სამსახურებს, მაგრამ შედეგი დღემდე არ არის.

ნორმალური ქვეყანა მაშინ აშენდება, როცა მომავალი თაობები წინა თაობებისადმი პატივისცემას და მათი ღვაწლის დაფასებას დაიწყებენ. როდის დადგება ეს დრო ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის?!

იქ ოსები და რუსები გვდევნიდნენ, აქ ჩვენი სისხლი და ხორცი გვიმეტებს სასიკვდილოდ გულგრილობითა და უყურადღებობით. რა დავაშავეთ იმის გარდა, რომ ქსნის ხეობელები ვართ და ჩვენი მიწა გვიყვარდა და გვიყვარს? ამის გამო არ მომცეს არც ერთხელ კომპენსაცია თუ კიდევ რაიმე სხვა მიზეზია?

ასე ვაპირებთ ცხინვალის და აფხაზეთის დაბრუნებას?

სამინისტროს წარმომადგენლებს „საერთო გაზეთის“ საშუალებით კიდევ ერთხელ ვთხოვ, მობრძანდნენ და დაინტერესდნენ ჩემი მდგომარეობით. ჩემი თხოვნა უსაფუძვლო პრეტენზია ნამდვილად არ არის — 80 წლის ღვაწლმოსილ ექიმს მომეცით თავშესაფარი, საკუთარი საწოლი რომ მქონდეს, განა ბევრს ვითხოვ?

პატივისცემით,

ანა გოგიაშვილი,
დევნილი ახალგორის რაიონიდან

# ყველაზე ცნობილი ჰაკერები

**ყოველწლიურად ჰაკერული შეტევები უფრო და უფრო მატულობს. მათ შეუძლიათ არა მარტო გატეხონ საბანკო ანგარიშები, მოიპარონ პინკოდი და პაროლი, არამედ შექმნან არეულობა, რაც უმსხვილესი საიტებისა და სერვისების დაბლოკვას გამოიწვევს. არსებობს კიდევ ერთი ინფორმაციის სახე, რომელზეც ჰაკერები ნადირობენ – ჰოლივუდის ვარსკვლავების აკაუნტების გატეხვა.**

**ჰაკერების რამდენიმე სახეობა არსებობს: „შავი“ ჰაკერები პირადი მიზნებისთვის იყენებენ მოპოვებულ ინფორმაციას, „თეთრი“ ჰაკერები სისტემებს იმისთვის ტეხენ, რომ უჩვენონ კოდის არასრულყოფილება, ან ფული იშოვონ საკუთარი უნარების წყალობით, ხოლო „ნაცრისფერი“ ჰაკერები სადღაც მათ შორის არიან.**

**გთავაზობთ იმ ჰაკერების ნუსხას, რომლებმაც შეძლეს ქვეყნების მთავრობების გაცურება.**



### ადრიან ლამო, იგივე **THE HOMELESS HACKER**, 33 წლის

ადრიანი მაშინ გახდა ცნობილი, როცა The New York Times-ის, Google-ის, Yahoo-ისა და Microsoft-ის სისტემები გატეხა. იგი 2003 წელს დააპატიმრეს. მეტსახელი The Homeless Hacker უსახლკარო ჰაკერს ნიშნავს, რაც იმის გამო შეარქვეს, რომ იგი კაფეებიდან და ბიბლიოთეკების ქსელიდან ახორციელებდა შეტევებს. 2002 წელს მან „თაიმის“ საიტი გატეხა. რის შედეგადაც გაზეთის ყველა კოლუმნისტის მონაცემები მოიპოვა და საკუთარი გვარი დაამატა იმ ექსპერტების სიას, რომლებიც გამოცემას კომენტარებს აძლევდნენ. „ტაიმის“ სარჩელით დაიწყო გამოძიება, რომელიც 15 თვე გაგრძელდა. სასამართლოზე ლამომ დანაშაული აღიარა და პატიმრობა 6-თვიანი შინა პატიმრობით შეუცვალეს.

### ანჩეტა, იგივე **RESILIENT**, 30 წლის

ეს კალიფორნიელი ისტორიაში პირველი გახლდათ იმ ჰაკერებს შორის, ვისაც ბრალად წაუყენეს მსოფლიოს მასშტაბით უამრავი რაოდენობის სპამის გაგზავნა. 2004 წელს ანჩეტამ შექმნა მატლი **rxbot**, რომლის დახმარებითაც შეძლო ეკონტროლებინა 500 ათასი კომპიუტერი (მათ შორის, აშშ-ის სამხედრო სექტორის კომპიუტერებიც) და გაეტეხა ისინი. ამის შემდეგ მან განათავსა რეკლამა საკუთარი მომსახურების შესახებ, სადაც კლიენტებს გარკვეული საფასურის სანაცვლოდ ნებისმიერი საიტის გატეხვას სთავაზობდა. 2005 წელს ანჩეტა დააპატიმრეს. მას დააბრუნებინეს 56 ათასი დოლარი, რაც საიტების გატეხვით იშოვა, გადაიხადა 16 ათასი დოლარი ჯარიმა, დათმო საკუთარი ავტომანქანა BMW და 60 თვე ციხეში გაატარა.

### ოუენ ტორ უოლკერი, იგივე **KILL**, 25 წლის

2008 წელს 18 წლის ოუენმა აღიარა მისთვის წაყენებული ექვსი ბრალდება. იგი ხელმძღვანელობდა საერთაშორისო ჰაკერულ ქსელს, რომლებმაც 1,3 მლნ კომპიუტრი გატეხეს და საბანკო ანგარიშებიდან 20 მლნ დოლარი „მოიპარეს“. 13 წლის უოლკერი საშინაო სწავლებაზე გადაიყვანეს, რამაც შესაძლებლობა მისცა, საფუძვლიანად შეესწავლა პროგრამირება და ინფორმაციის დაშიფრვის ხერხები. რადგან ახალგაზრდა დანაშაულებრივ ჯგუფში მხოლოდ კოდის შექმნით იყო დაკავებული, მხოლოდ 32 ათასი დოლარი მიიღო. სასამართლო ძიებისას მან აღიარა



დანაშაული. ამის გამო ბრალდება მოუხსნეს და მხოლოდ 11 ათასი დოლარი ჯარიმის გადახდა მოუწია. ამჟამად ოუენი საინფორმაციო უსაფრთხოების საკითხებში კონსულტანტად მუშაობს.

### კევინ პოულსენი, იგივე **DARK DANTE**, 49 წლის

კევინ პოულსენი პირველი ამერიკელია, რომელსაც აკრძალული აქვს კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენება ციხიდან გათავისუფლების შემდეგ. 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში პოულსენი სატელეფონო ხაზების გატეხვით იყო დაკავებული. მან სახელი



გაითქვა, როცა ლოს-ანჟელესის KIIS FM-ის სატელეფონო ხაზზე „დაჯდა“, დარეკა და „პორშე“ მოიგო. იგი ფედერალურ ძებნაში გამოცხადდ და გაქრა. შემდეგ გამოჩნდა ტელეშოუ Unsolved Mysteries-ში. უცნაურია, რომ იმ დროს ყველა სატელეფონო ხაზი დაკავებული იყო. იგი დაიჭირეს და ხუთი წელი მიუსაჯეს. ამჟამად იგი მასალებს წერს ჟურნალ Wiried-ისთვის.

### ალბერტ გონსალესი, იგივე **CUMBAJOHNNY**, 33 წლის

ალბერტმა შექმნა საიტი Shadowcrew.com, რომლის მომხმარებელი დაახლოებით 4 ათასი ადამიანი გახდა. დარეგისტრირებულ მნახველებს შეეძლოთ გაეყიდათ ან შეეძინათ ბანკის ანგარიშები, ყალბი პასპორტები, მართვის მოწმობები, სადაზღვევო პოლისები, საკრედიტო და სოც უზრუნველყოფის ბარათები, დაბადების მოწმობები, სტუდბილეტები. ზოგიერთი მონაცემით, ამ საიტზე 2005–2007 წლებში გაიყიდა 170 მლნ-ზე მეტი საკრედიტო ბარათი. გონსალესს, რომელიც ფლორიდიდან იყო, ძალიან მოსწონდა ძვირადღირებულ სასტუმროებში დიდი ხნით ცხოვრება, ერთხელ კი საღამო მოაწყო, რომელიც 75 ათასი დოლარი დაუჯდა. ნიუ-



ჯერსიში დაკავებისას მას წარედგინა ბრალდება, როგორც 15 ყალბი საბანკო ბარათის მფლობელს. მან ჩვენებები მისცა თავისი საიტის 19 მომხმარებლის წინააღმდეგ და ციხეში დაჭერას გადაურჩა. შემდეგ მაიამიში დაბრუნდა, ათ თანამოაზრესთან ერთად გატეხა TJX Companies-ის მონაცემები და 18 თვის განმავლობაში 45 მლნ საკრედიტო და დებიტორული ბარათის მონაცემები მოიპარა. 2008 წლის მაისში იგი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს, საიდანაც 2025 წლამდე ვერ გამოვა.

### კევინ მიტნიკი, **THE CONDOR**, 54 წლის

კევინ მიტნიკი თვლის, რომ იგი ჰაკერი არ არის. საკუთარ მოღვაწეობას „სოციალურ ინჟინერიას“ უწოდებს. ეს საქმე მან 15 წლის ასაკში დაიწყო. თავიდან პერფობარათების სისტემიდან თავის დაძვრენით. მოგვიანებით მან გატეხა ისეთი გიგანტების ქსელები, როგორებიცაა Pacific Bell, Nokia, IBM, Motorola და სხვ.

როდესაც 1995 წელს მიტნიკი დააპატიმრეს, მოსამართლეს იმდენად სახიფათოდ მოეჩვენა მისი უნარები, რომ იგი ცალკე საკანში მოათავსეს. ციხეში 12 თვე გაატარა, კიდევ სამი წელი კი — ზედამხედველობის ქვეშ. იგი აგრძელებდა ქსელების გატეხვას და ციხიდანაც გაიქცა. სამი წელი



იმალებოდა და კლონირებულ ფიჭურ ტელეფონებს იყენებდა. 1999 წელს მიტნიკი ციხეში ჩასვეს ოთხი წლით. ამჟამად იგი მუშაობს საინფორმაციო უსაფრთხოების კონსულტანტად. დაწერილი აქვს ორი წიგნი.

### ჯონათან ჯეიმსი, **C0MRADE**, გარდაიცვალა 24 წლის ასაკში

იგი პირველი ამერიკელი არასრულწლოვანი იყო, რომელიც აშშ-ში კიბერდანაშაულისთვის დააკავეს. კარიერა 15 წლის ასაკში დაიწყო და გატეხა ნასას და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს მონაცემთა ბაზები. ჯეიმსმა მოიპარა სამთავრობო თანხები 1,7 მლნ დოლარის ოდენობით. შემდეგ კი ნასას საერთაშორისო კოსმოსური სადგურის პროგრამის საწყის ტექსტში შეძვრა და როცა ეს აღმოაჩინეს, სამი კვირით გათიშეს კომპიუტერები, რის გამოც უზარმაზარი ზარალი ნახეს.

**ბელა გველესიანი**
568 90 81 22

---



„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი, სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობი, ამავე თეატრის ყოფილი სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტი

**დიმიტრი (დიმა) ჯაიანი**

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა.

---

შვილები: ნანი, გაბრიელი (ნუგზარი), ქეთევანი, გიორგი, შვილიშვილები: ამირანი, ნათია, გიორგი, კახაბერი, მარინა, სალომე, ხატია, გივი, მარიამი, ნინო, შვილთაშვილები: ლინდი, ლუკა, ნანა, გიორგი, ანასტასია, ბარბარე, ქეთევანი, სიძეები: რევაზ ამილახვარი, გრიგოლ ბაქრაძე, ნოდარ ვაზაგაშვილი, რძლები: მაყვალა, ციცო, ჟენია, თამარი, გვანცა, ძმისშვილები, ძმისშვილიშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, მულიშვილები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ევგენია (ჟენია) ხეჩუაშვილი-ტატიაშვილი**

პანაშვიდი: 13, 14 დეკემბერს, 16 სთ.
გასვენება: ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, 14 სთ.
მისამართი: კასპის რაიონი, სოფელი გრაკალი

---

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლნი, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და თანავუგრძნობთ ჩვენს ერთგულ თანამებრძოლს, ქალბატონ ნანა ტატიაშვილს დედის

**ევგენია გიორგის ასული ტატიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

ვილოცებთ მისი სულისთვის. დამკვიდრებოდეს სასუფეველი ცათა შინა.

**ირაკლი იბერი, დავით გიგაური, გიორგი ჯაყელი**
**მარიამ ხორბალაძე, ნანა ხუბულავა, ნიუ იორკი, აშშ**
**სირიაში მებრძოლი გვარდიელების სახელით**
**ლაშა გამსახურდია, სანდრო მარიამიძე,**
**მარიამ სავანელი, დავით ჯანდიერი, სალომე მჭითური,**
**ლევან ზაალიშვილი, დიანა სააკაშვილი**

---

„საერთო გაზეთის“ რედაქცია თანაუგრძნობს ნანა ტატიაშვილს დედის

**ევგენია (ჟენია) ხეჩუაშვილი-ტატიაშვილის**

გარდაცვალების გამო

# ქართული ფუტკარი – მსოფლიოს მერვე საოცრება

**წლების წინათ ოქროს მედლის სამგზის მფლობელი ქართული ფუტკარი, შემდგომში – იავარქნილი და კვლავ ფენიქსივით მკვდრეთით აღმდგარი, დღეს საერთო ძალისხმევით აღორძინების გზაზეა და შესაძლოა, გაისად იგი ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზეც ვიხილოთ მასპინძლის სტატუსით, რადგანაც ერთ-ერთი ოქროს მედალი 1961 წელს სწორედ გერმანიაში, ერფურტში აქვს მოპოვებული.**



პოლიციის პოლკოვნიკს, აფხაზეთის ომის უშუალო მონაწილეს ბატონ **ბონდო აბაშიძეს** ტყვიის არ შინებია, არც ცეცხლის და მეწყერის, მაგრამ მოზუზუნე ფუტკრის ოჯახს – ბავშვობიდან ახლოსაც ვერ გააკარებდით. აზუზუნებული სკა სიკვდილზე მეტად ზარავდა. ბატონი ბონდო სამიოდე წლის წინათ გავიდა პენსიაზე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის რაიონული პოლიციის სამმართველოს უფროსის პოსტის თანამდედობაზე ყოფნისას და ხანდაზმულობის დადგომამ თანდათან მიაჩოჩა იგი სკასთან, ჯერ მეფუტკრის პირბადეთი, კვამლის შეხრჩოლებით, მერე და მერე შიშველი ხელებით დაუძმობილდა ფუტკარს და ახლა სრულიად ფარღალალას შეუძლია ტრიალი მათ გარშემო. აი, რა გითხრა მან საფუტკრესთან ჩვეულ ამპლუაში მომუშავემ:

– მუხურში კაცი ფუტკრით რომ არ დაინტერესდეს, ძალიან დაუჯერებელია. მუხურის ფუტკარი საერთაშიორისო აღიარების მქონე იყო ოდესღაც, მაგრამ ბოლო დროს ისე დაკნინდა, ისე განადგურდა, რომ არავის ახსოვდა ამ დიდების თაობაზე. შევეკითხე ადგილობრივ მეფუტკრეებს, არადა, მეფუტკრეები არიან, ძალიან კარგი პრაქტიკოსები, მაგალითად **კახა თოლორდავა, ომარ ჩიქოვანი** და სხვებიც. გულსატკენი ის არის რომ მათში 50 წელზე ახალგაზრდას ვერ იხილავ ფუტკრის ტექნიკუმის დონეზე იცოდეს. ჩამოვრჩით ნამეტნავად. ჰოდა, თვითონაც მოვაშენე ფუტკარი, დავიწყე მისით დაინტერესება. ჩვენ მეცნიერებთან გავაბით პირველი კონტაქტები. ბედმა გაგვიღიმა. პროფესორმა **გოგი მაძღარაშვილმა** ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია. მისი ხელმძღვანელობით იყვნენ ჩვენთან დარგის სპეციალისტები, რომელთაც 1000-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი გამოიკვლიეს და თავი უნიკალური ჯიშის ბატონ-პატრონად რომ წარმოგვესახა, თქვენ წარმოიდგინეთ, იმ 1000 ოჯახიდან მხოლოდ 15 აღმოჩნდა მსოფლიოში სახელგანთქმული პარამეტრებისა – 7, 2 მილიმეტრის სიგრძის ხორთუმის. მქონე.







თურმე კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოვჩენილვართ. სულ ცოტაც და ამ უნიკალური ოჯახისაგან აღარაფერი დარჩებოდა, გარდა დიდებით მოსილი წარსულისა. ახლა დავფაცურდით დიდ-პატარა. ის 15 ოჯახი გამოვაცალკევეთ. უკვე მუხურშიც ვერ გამოვიყვანდით ამ ჯიშს, რადგანაც, როგორც ფუტკარი გავაფუჭეთ თურმე, ისე გავაფუჭდით ოდაბადეც, ეკოსისტემაც. ჰოდა, ამ მეცნიერებთან, ბატონი გოგის დახმარებით მოვძებნეთ ადგილი ხობიწყლის ხეობაში, მუხურიდან 32 კილომეტრის დაშორებით, რომელსაც მეგრული სახელი ყოროფა – სიყვარული შევარქვით. იქ გვინდა ინფრასტრუქტურის განვითარება.

2015-ში ჰესი იხსნებოდა მუხურში და ჩამობრძანდნენ მაშინდელი პრემიერ-მინისტრი, ბატონი **ირაკლი ღარიბაშვილი** და ენერგეტიკის მინისტრი, ბატონი **კახა კალაძე**. ამ ახალგაზრდა ხალხმა ყურადღებით მომისმინეს, 20–30 წუთი საჯიშე მეურნეობასა და თვით ფუტკრის პრობლემებზე და მაშინ ბატონმა ირაკლიმ ბრძანა: **გადავარჩინოთ მუხურის ფუტკარიო**.

მუხურის ფუტკრის უნიკალურობაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით შევეცდები ვთქვა ორიოდე სიტყვით, აქ კი შემიძლია თამამად განვაცხადო, რომ მას **მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება**. რატომ, რის გამო?! მომავლისთვის მოვიტოვოთ სათქმელად. დიახ, გადავარჩინოთ მუხურის ფუტკარიო, ბრძანა ბატონმა ირაკლიმ და სიტყვა შეასრულა. ერთი მილიონი ლარი გამოყვეს მისი რეაბილიტაციისათვის. კარგად იმუშავეს მაშინდელმა სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ბატონმა **ოთარ დანელიამ**, ამჟამინდელმა მინიტრმა, ბატონ **ლევან დავითაშვილმა**. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ **ლევან უჯმაჯურიძის** ფასდაუდებელი ღვაწლი. ადგილობრივები ხომ თავი არ დაზოგეს ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მხარის გუბერნატორმა – ბატონმა **ლევან შონიამ**, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელმა **დავით გოგუამ**, საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ესებუამ**. დიახ, ბევრი რამ გაკეთდა, ლამის იავარქნილი მეფუტკრეობა ფეხზე დავაყენეთ, თუმცა სიმართლე ითქვას, ჯერ მხოლოდ საქმის 60 პროცენტაია შესრულებული. არადა, დრო არ იცდის. ჩემთვის გასაგებია, რომ ქვეყნის ბიუჯეტი ყველაფერ ამას ვერ აიტანს, საქართველოს პრობლემებს რა გამოულევს, მაგრამ იქნებ საპარტნიორო ფონდიდან მოხერხდეს რამე; იქნებ 4–5 წლით გვათხოვონ 500 000 ლარი, რომლითაც ჩვენ 30–50 კაცის დასაქმებას შევძლებთ და ქვეყანაში 4–5 წლის შემდეგ 3–5 მილიონ ევროს შემოიტანთ. ეს იქნება დედა ფუტკარით და ბიოთაფლით. ამიტომაც ვითხოვთ ჩვენ 500 ათას ლარის სესხს, რათა შევძლოთ ინფრასტრუქტურის გამართვა: სამი საფუტკრის მოწყობა ხობის წყლის ხეობაში. ერთი მუხურიდან 10–12 კილომეტრის დაშორებით გაიმართება, რომელიც 3–4 წელიწადში შეასრულებს ფილტრაციის ფუნქციას. მეორე საფუტკრე უნდა მოეწყოს შელეთის უბანში მუხურიდან 20 კილომეტრის დაშორებით, სადაც დაიწყება ბიოთაფლზე მუშაობა და ბოლოს, მესამე საფუტკრე, რომელც გაშენდება მუხურიდან 32 კილომეტრის დაშორებით. აქ უნდა აშენდეს მეფუტკრის სახლი. წვიმა რომ წამოვიდეს ხეს ხომ ვერ მიეფარები. უნდა შემოიღობოს ნახევარი ჰექტარი მიწის ფართობი. 15 ოჯახი უკვე 80 გავხადეთ. ტრანსპორტია საჭირო. ამას წინათ მუხურში ბრძანდებოდნენ სოფლის მეურნეობის მინისტრი ბატონი **ლევან დავითაშვილი** და პარლამეტარი, აგრარული საკითხების კომიტეტის თავმჯდომარე **ოთარ დანელია**, შეგვპირდნენ მოიძიებენ სახსრებს მუხურის ფუტკარის პრობლემების მოსაგვარებლად. მე მჯერა ამ შეპირების, მაგრამ უქმად რა გამაჩერებს, ვეძებ ინვესტორს, რადგანაც იმისთანა ბაჯაღლი პოპულაციის ფუტკრის მეპატრონენი ვართ, ნებისმიერ გაჭირვებულს გამართავს გონიერი ინვესტორის ხელში, თვითონაც ნახავს ხეირს და ჩვენც წელში გავიმართებით.

როგორც მოგახსენეთ, მიხურის ფუტკარი გამორჩეულია მსოფლიოში არსებულ ნებისმიერ პოპულაციას შორის. მისი ხორთუმის სიგრძე 7, 2 მილიმეტრია. ეს როგორც ჩანს გამოწვეულია ხობის წყალის ხეობის თავისებურებით. აქ წვიმები ძალზე ხშირია. ღალიანობა სწრაფია. ადგილობრივი სიო მასქური ყვავილებს ადრე აშრობს ხოლმე და იქიდან ფუტკარს შესაბამისად დროის უმოკლეს პერიოდში უწევს მათგან ნექტარის ამოწუწნვა. სწორედ ამან ჩამოუყალიბა ალბათ მას განსაკუთრებული მექანიზმი – გაცილებით გრძელი ხორთუმი ამ პრობლემის მოსაგვარებლად, მაგრამ ამისთანა ხორთუმიან პოპულაციას უფრო სტაბილური ვითარების ეკოსისტემაში რომ დაასქმებ, მოსავლიანობა ერთიათად იზრდება და ხარისხიანობაც. იციან ამის შესახებ გარკვეულმა წრეებმა, ქვეყმებმა. მე მიკავშირდებიუან ინტერნეტით უკრაინელები, ყირგიზები, ტაჯიკები, რომელთაც სურთ ჩვენი დედაფუტკრის შეძენა. საუბარია ათასობით ექზემპლარზე, მათ ამისი პრობლემა არა აქვთ. პრობლემა გვაქვს ჩვენ, რომლებიც უსახსრობის გამო ამ დედა ფუტკრებს ვერ ვაწარმოებთ საკმარისი ოდენობით. აბა, 80 ოჯახის იმედით რომელ რენტაბელობაზეა საუბარი?! საბჭოთა პერიოდში ხომ მუხურის საჯიშე მეურნეობიდან წელიწადში 35–45 000 დედა ფუტკარი იყიდებოდა მსოფლიოს 58 ქვეყანაში. ერთი დედა ფუტკარის ფასი ამჯამად ევროპაში დაახლოებით 60 ევროა. დარწმურებული ვარ ამის შესახებ ერთმა ღვთისნიერმა კაცმა რომ გაიგოს საქართველოში, მივიჩნიოთ რომ საკითხი ეგრევე გადაწყვეტილია. მე იმდენად მჯერა ამ კაცის და მისი პატრიოტული სულისკვეთების, მისი კომერციული ალღოანობის.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემდა სასიხარულოდ ერთი პატრიოტი კაცი გამოჩნდა – მწერალი **გური ოტობაია**. იგი ენდემური ჯიშების აღორძინება-პოპულარიზაციის დიდი ქომაგია. ამას წინათ ფილარმონიის ფოიეში გამართულ სარეკლამო ბაზრობაზე გავეცანით ერთმანეთი. მან გულთან ახლოს მიიტანა ჩვენი სატკივრები და აღგვითქვა ყველაფარეს გააკეთებდა, რათა ქართულ ფუტკარს მონაწილეობა მიეღო ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე გაისად გერმანიაში. ზოგიერთს გაუკვირდება, სად წიგნის ბაზრიობა და სად მეფუტკრეობის პრობლემებიო, მაგრამ ბიზნესმა არ იცის დარგობრივი მიდგომები, იგი ყველგან წარმატებულია, სადაც ხელსაყრელი პირობებია ჯანსაღი კომერციისათვის. ბატონი გური ყველაფერთან ერთად მეოხად მოევლინა ჩვენს მივიწყებულ ფოლკლორს და გამოსცა ეროვნული მნიშვნელობის „მეგრული პოეზიის ანთოლოგია". ასევე მეოხად უდგას სვანურ და ლაზურ სიტყვიერებას, როგორც დედაქართულის აღმავსებელ წყაროებს. როგორც ბატონმა გურიმ დაგვიკონკრეტა ის მიიტანს ჩვენი ფუტკრის ამბავს ქართული წიგნის ცენტრის, მისივე ეპითეტით: მშვენიერ და მაღალესთეტიკურ მესვეურთან, ქალბატონ **დეა მეტრეველთან**. ჩვენ მზად ვართ, სსიპ სოფლის მეურეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორთან, ბატონ **ლევან უჯმაჯურიძესთან** ერთად წინ დავულაგოთ ქალბატონ დეას ჩვენი ფუტკრის უნიკალური მონაცემები და მოკრძალებით შევთხოვოთ, შესაძლებლობის ფარგლებში, ძალისხმევა არ დააკლოს ქართული ფუტკრის ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე მოხვედრას. ჩვენ ამაზე უკეთეს სარეკლემო და საინვესტიციო სივრცეს ვერც წარმოვიდგენთ. ბოლოს და ბოლის ჩვენ ხომ ერფურტში 1961 წელს პირველი ოქროს მედალი გვაქვს მოპოვებული. მაშინ და შემდგომაც 12 პარამეტრით გადავუსწარით მეორე ადგილზე გასულ იტალიურ და კარპატულ ფუტკრებს. ჩვენთან მოვლენ არა მხოლოდ ერფრუტიდან, არამედ გერმანიის მრავალი ქალაქიდან, როცა შეიტყობენ წიგნის ბაზრობაზე მათი ქალაქის ოქროს მედლის ნომიმნანტია თურმე წარმოდგენილი. მოვლენ არა მხოლოდ წიგნის მოყვარულები, მეფუტკრეებიც და გადაეწნება ერთმანეთს წიგნი და მირონი, თაფლი და წიგნი.

**ანა ვადაჭკორია**

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

ISSN 2233-3983

იბეჭდება შპს „ახალ-დასავლის" სტამბაში. ალაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com